ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი მელაშვილი

კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია ჩრდილოეთის მიმართულებით 1990-იანი წლებიდან დღემდე.

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ზურაბ დავითაშვილი
სრული პროფესორი

თბილისი

2019

Table of Contents

ანოტაცია 3
Summary 4
შესავალი 5
მეთოდოლოგია 9
ლიტერატურის მიმოხილვა 11
სტრუქტურა 14
თავი I. კორეის რესპუბლიკის მოკლე პოლიტიკური ისტორია 16
1.1. *კორეა - „განდეგილი სამეფო“* 18
1.2. *კორეის „გახსნა“* 19
1.3. *კორეის ნახევარკუნძულის კოლონიზაციის ხანაში* 29
1.4. *ტრანზიციის პერიოდი* 33
1.5. *კორეის ომი* 35
1.6. *კორეის რესპუბლიკის თანამედროვე ისტორია* 36
1.7. *კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის თანამედროვე ისტორია* 39
თავი II. „ჩრდილოეთის პოლიტიკის“ ჩამოყალიბება 40
2.1. *კორეის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები* 41
2.2. *კორეის რესპუბლიკისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ურთიერთობები* 49
2.2.1. *დიასპორა* 49
2.2.1. *ეკონომიკური პროექტები* 52
2.3. *კორეის რესპუბლიკისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები* 53
თავი III. ჩრდილოეთის პოლიტიკის ევოლუცია 55
3.2. *ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკა* 58
თავი IV. რელიზმი კორეის საგარეო ურთიერთობებში ჩრდილოეთის მიმართულებით 59
დასკვნა 62
ბიბლიოგრაფია 63

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში არსებული კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის თავისუბურებებს, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და კორეის ნახევარკუნძულის ისტორიის გავლენას კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაზე. ნაშრომის მთავარი ნაწილი ეძღვნება კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას ჩრდილოეთის მიმართულებით - კორეის რესპუბლიკის ინტერესებსა და ამოცანებს ცენტრალური აზიის, რუსეთის ფედერაციისა და კავკასიის რეგიონებში.

საკვლევი საკითხის აქტუალურობა განსაკუთრებით მკვეთრია საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ურთიერთობობების დინამიურობისა და თბილისში კორეის რესპუბლიკის წარმომადგენლობის გახსნიდან გამომდინარე. ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები და ურთიერთობები მზარდი და ურთიერთმომგებიანია როგორც კორეის რესპუბლიკისთვის, ასევე საქართველოსთვის. ამავდროულად, არსებობს უზარმაზარი სივრცე ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გასაღრმავებლად და ორივე ქვეყნისთვის მეტი სიკეთის მოსატანად, რისთვისაც აუცილებელია ორივე ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ინტერესებისა და ეკონომიკის ცოდნა და კვლევა.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს თუ როგორ განიცადა კორეის საგარეო პოლიტიკამ ევოლუცია ჩრდილოეთის მიმართულებით 1990-იანი წლებიდან - საბჭოთა კავშირის დანგრევის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებისა და რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის გახსნისა და კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებიდან - დღემდე, და მიმოიხილოს თუ რომელი დიდი თეორია უკეთესად აღწერს კორეის რესპუბლიკის ქმედებებს.

კვლევის შედეგად დასტურდება ვარაუდი, რომლის თანახმადაც კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია ჩრდილოეთის მიმართულებით ეფუძნება კორეის რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს, თუმცა ამავდროულად მომგებიანია ყველა ჩართული მხარისთვის.

Summary

The evolution of the Northern foreign policy of the Republic of Korea from 1990s to present.

George Melashvili

The purpose of this paper is to research the foreign policy of the Republic of Korea, its political and economic intersts and influence of Korean history on contemporary decisions in foreign policy. The main part of the paper reviews the Korean Northern Policy and its evolution – interests of the Republic of Korea in Central Asia, Russian Federation and the Caucasus.

Active cooperation between Georgia and the Republic of Korea, as well as Korea's increasing participation in diffent project in the Caucasus, as well as general lack of academic works regarding history, politics and economic development of Korea, as well as Korean history, is the main factor assuring importance and relevance of this paper.

This paper reviews in detail evolution of Korea's Northern Policy, following the collapse of the Soviet Union and emergence of independent states in Central Asia and the Caucasus, and reviews theoretical framework to explain the reasons of Korea's special readiness to participate in the development of these countries.

The paper aims to increase awareness about the Republic of Korea, and review the evolution of its foreign policy in regard to Classical Realism theory of Internation Relations theory.

შესავალი

სამაგისტრო კვლევა „კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია ჩრდილოეთის მიმართულებით 1990-იანი წლებიდან დღემდე“ წარმოაგენს კორეის რესპუბლიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი თემის - საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმოხილვის მცდელობას.

საგარეო პოლიტიკა ნებისმიერი ქვეყნისთვის სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, თუმცა კორეის რესპუბლიკის შემთხვევაში საგარეო პოლიტიკას სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარე კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული რეჟიმის პირობებში.

კორეის რესპუბლიკა და მისი ჩრდილოელი მეზობელი დღემდე ომის პირობებში იმყოფებიან, ხოლო ნახევარკუნძულზე უსაფრთხოება და სტაბილურობა დიდწილად დამოკიდებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და პოლიტიკურ შესაძლებლობებზე.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, კორეის რესპუბლიკამ კორეის ომის შემდგომ პერიოდში ჩამოაყალიბა საკუთარი უნიკალური საგარეო პოლიტიკური მიდგომები, რომელიც ეფუძნება როგორც ეროვნულ და ეგზისტენციალურ ინტერესებს, ასევე სამოკავშირეო ფასეულობებს. ამავდროულად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კორეის რესპუბლიკაში არსებული მიდგომიდან გამომდინარე, კორეის რესპუბლიკისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობები არ წარმოადგენს საგარეო მიმართულების საკითხს. სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის საკითხებს კურირებს რამდენიმე საპრეზიდენტო ინსტიტუტი, ხოლო *გუგმუჰვეში* (კორეის მინისტრთა კაბინეტში) ჩრდილოეთ კორეის საკითხებს წარადგენს *თონგილბუს* (გაერთიანების სამინისტროს) მინისტრი.

საკვლევი საკითხის აქტუალურობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში აღსანიშნავია კორეის რესპუბლიკის ეროვნული ინტერესები - სახელმწიფოში არ არსებობს ბუნებრივი რესურსების რამდენადმე მნიშვნელოვანი მარაგი, შესაბამისად

კორეის რესპუბლიკა სრულიად არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებზე საკუთარი ენერგეტიკული და საწარმოო სექტორების განვითარებისა და არსებობის საკითხში. აქედან გამომდინარე, კორეის რესპუბლიკა აქტიურად ცდილობს ჩრდილოეთის მიმართულებით საკუთარი ენერგეტიკული რესურსების მიწოდების დივერსიფიცირებასა და მიწოდების ახალი რეგიონებისა და ბაზრების აღმოჩენას. ენერგეტიკული და საწარმოო უსაფრთხოება, რესურსების მიწოდების დივერსიფიკაციასთან ერთად არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კორეის რესპუბლიკის აქტიურობას ჩრდილოეთის მიმართულებით.

საკვლევი საკითხის აქტუალურობას ასევე განაპირობებს ის მნიშვნელობა, რომელსაც კორეის რესპუბლიკა ანიჭებს ჩრდილოეთის მიმართულებას. კორეის რესპუბლიკაში პრეზიდენტ მუნ ჯე ინის ადმინისტრაციაში საგანგებოდ შეიქმნა ჩრდილოეთის მიმართულების კომიტეტი, რომელიც აერთიანებს რუსეთის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის სპეციალისტებს და რომლის მთავარი ამოცანა კორეის რესპუბლიკის ყველა იმ სააგენტოს მუშაობის კოორდინაცია წარმოადგენს, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით მუშაობს.

კვლევის პროცესში ჩემი მთავარი ინტერესი არის კორეის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია ჩრდილოეთის მიმართულებით, რა საგარეო და შიდა ფაქტორებმა გამოიწვა კორეის რესპუბლიკის გააქტიურება ჩრდილოეთის მიმართულებით 1990-იანი წლების შემდეგ, რა როლს თამაშობს ქვეყნის ისტორია არსებულ დღევანდელ საგარეო პოლიტიკაზე და რა როლი ითამაშეს დიდმა ძალებმა - რუსეთის ფედერაციამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კორეის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. განვიხილავ და შევაფასებ კორეის ეკონომიკურ აქტივობას ჩრდილოეთის რეგიონში და მიმოვიხილავ არსებული ეკონომიკური თანამშრომლობის მაგალითებსა და ეკონომიკური ინტერესების გავლენას კორეის საგარეო პოლიტიკაზე. ნაშრომის ფარგლებში შევაფასებ კორეის თანამედროვე საგარეო პოლიტიკას საერთაშორის ურთიერთობების არსებული თეორიების მიხედვით და განვიხილავ კორეის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის პოტენციალსა და პერსპექტივებს.

სამაგისტრო კვლევის ფარგლებში ვეცდები პასუხი გავცე საკვანძო საკითხებს - **რით აიხსნება კორეის საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებული გააქტიურება 1990-იანი წლების შემდეგ და როგორ შეიცვალა აღნიშნული პოლიტიკა**.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის ავტორისეულ ვერსიას წარმოადგენს შემდეგი ჰიპოთეზა: **საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ახლადშექმნილ სახელმწიფოებთან ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების შესაძებლობის წარმოქმნამ** გამოიწვია **კორეის საგარეო პოლიტიკის გააქტიურება ჩრდილოეთის მიმართულებით**, რაც **აუცილებელია კორეის რესპუბლიკისთვის საკუთარი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.**

ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის დასადასტურებლად საჭიროა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმოჩენა ჩრდილოეთის მიმართულებით კორეის რესპუბლიკის გააქტიურებასა და ჩრდილოეთის ქვეყნების ლიბერალიზაციას შორის. საკვლევი საკითხის აქტუალურობის ასევე მიზეზი არის საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის გააქტიურებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, 2015 წლის ზამთარში საქართველოში კორეის რესპუბლიკის მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა გაიხსნა, მოგვიანებით საქართველოში ჩამოვიდა კორეის პარლამენტის სპიკერი, გააქტიურდა KOICA-ს (კორეის განვითარების სააგენტოს საქმიანობა). განხორციელდა მსხვილი კორეული ინვესტიცია ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტში და გაიზარდა კორეიდან ჩამოსული ტურისტებისა და კორეული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, გარდა საკითხის აქტუალურობისა, კვლევას გააჩნია პირდაპირი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგანაც შესაძლებლობა მისცეს მკითხველს გაეცნოს კორეის პოლიტიკის ევოლუციასა და მის დღევანდელ მდგომარეობას, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს აკადემიურ სფეროში ნაკლებად წარმოდგენილია კორეის შესახებ კვლევები და აკადემიური ნაშრომები, ხოლო არსებული ლიტერატურა არც ისე მრავალფეროვანია. სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული ამოცანა არის გახდეს ერთგვარი დამატებითი ლიტერატურა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მკითხველს

გაეცნოს კორეის ნახევარკუნძულის ისტორიას, პოლიტიკასა და მისი საგარეო პოლიტიკის ევოლუციასა და გახდეს გამოსაყენებელი წყარო კორეით, შორეული აღმოსავლეთითა და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებული ადამიანისთვის.

მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. გარდა კონკრეტული ქეისის - კორეის საგარეო პოლიტიკის ევოლუციის 1990-იანი წლების შემდეგ - შესწავლისა, გამოყენებულია ასევე პროცესის მიდევნებისა და სამაგიდო კვლევისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგია. კორეის რესპუბლიკაში 2019 წლის თებერვალში ჩემი ყოფნის დროს ჩავწერე რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუ კორეის უნივერსიტეტის, იონსეს უნივერსიტეტისა და კორეის რესპუბლიკის ჩრდილოეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საპრეზიდენტო კომიტეტის თანამშრომლებთან, რომლებიც ასევე გამოყენებულია ამ ნაშრომის შესრულებისას და საკითხის სიღრმისეული ანალიზისა და სხვადასხვა მრავალმხრივი პერსპექტივების დანახვაში დამეხმარა.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია როგროც პირველადი, ასევე მრავამხრივი სხვადასხვა წყაროები, რომლებიც განიხილავენკორეის საგარეო ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკას. კორეის რესპუბლიკისთვის ქვეყნის ინტერესები არის ამოსავალი წერტილი - რაც ბუნებრივიც არის ქვეყნის წინაშე ეგზისტენციალური საფრთხეების გათვალისწინებით.

კორეის საგარეო პოლიტიკა ჩრდილოეთის მიმართულებით ასევე ხასიათდება (კლასიკური რეალიზმისთვის ნაკლებად დამახასიათებელი) რწმენით საერთაშორისო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის სიკეთეების გაზიარებაში. ეს საკითხი, რომელიც თითქოს ეწინააღდეგება რეალიზმის პოსტულატებს, დეტალური დავირვებისას დაგვანახებს, რომ კორეის რესპუბლიკისთვის არსებული საერთაშორისო ინსტიტუტები დაკავშირებულია ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებთან, შესაბამისად შესაძლებელია მათი განხილვა როგორც დროებითი ალიანსისა, რომელიც შექმნილია საკუთარი ინტერესებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამავდროულად, იაპონიასთან მიმართებაში კორეის საგარეო პოლიტიკის ახსნა მხოლოდ რეალისტური მიდგომით საკმაოდ რთულია: იაპონიისა და კორეის

დღევანდელი ურთიერთობა ეფუძნება ოკუპაციის გამოცდილებას და დამძიმებულია მეორე მსოფლიო ომის მემკვიდრეობით (მაგ. ლიანკურის/დოკდოს/ტაკეშიმას კუნძულები, რომლებიც იაპონიასა და კორეას შორის დღემდე სადავო საკითხია).

ნაშრომს ბოლოს ერთვის დასკვნა და ბიბლიოგრაფია.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე არაერთი წიგნი, სტატია, აკადემიური ნაშრომი, ოფიციალური დოკუმენტი და სახელმწიფოებრივი ანგარიშები.

განსაკუთრებით შინაარსიანი აღმოჩნდა ასევე კორეის რესპუბლიკაში ჩაწერილი ინტერვიუები, რომლებმაც მომცა საკითხის სტრუქტურიზაციისა და მის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობა.

ნაშრომის პირველ ნაწილში, რომელშიც მივოვიხილავ კორეის ნახევარკუნძულის ისტორიას, გამოვიყენე მაიკლ სეტის „კორეის ისტორია: ანტიკურობიდან დღევანდელობამდე“ (A concise history of Korea: from antiquity to the present Book Publisher Rowman & Littlefield, 2016; ინგლისურ ენაზე), ფუნდამენტური ნაშრომი რომელშიც განხილულია კორეის ნახევარკუნძულის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. წიგნის მთავარი დადებითი მხარე არის კორეის ისტორიის სისტემატიზაცია და ყურადღების გამახვილება საერთაშორისო ურთიერთობებზე, თუმცა მისი ისტორიული მიმართულებიდან გამომდინარე, მასში არ არის განხილული კორეის საერთაშორსიო ურთიერთობების თეორიულია ასპექტები.

წიგნი „ნეო ნორდპოლიტიკი“, (북방에서 길을 찾다 (ბუგბანგ ესო გირილ ჩაჯდა), 2017 წელი, ჩრდილო-აღმოსავლეთი აზიის კვლევის სამთავრობო ინსტიტუტი, კორეულ ენაზე) რომელშიც განხილულია კორეის ახალი პოლიტიკა ჩრდილოეთის მიმართულებით, მისი მიღების აუცილებლობა და გარემოებები. წიგნი საინტერსოა იმიტომ, რომ იძლევა ჩრდილოეთის მიმართულებით კორეის პოლიტიკის ევოლუციის გააზრების შესაძლებლობას, თუმცა მასში ნაკლებად ეთმობა ყურადღება ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონს.

ჰანკუკის უნივერსიტეტის გამომცემლობის „რესურსები, გარემო და ინფრასტრუქტურა რუსეთსა და წყნარი ოკეანესა და აზიის ქვეყნებთან მიმართებაში - თანამშრომლობა და კონფლიქტები“ (Resources, Environment and Infrastructures between Russia and the Asia-Pasific: Cooperation and Conflicts, 2019) რომელშიც განხილულია რუსეთის გავლენა აზიისა და წყნარი ოკეანეთი ქვეყნებზე. წიგნი, რომელიც

შედგენილია 21-22 თებერვლის კონფერენციის მასალებზე დაყრდნობით, დეტალურად განიხილავს რუსეთსა კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. წიგნის მთავარი ძლიერი მხარე არის მისი აქტუალურობა, იგი სრულიად ასახავს 2019 წლის თებერვლამდე მიმდინარე მოვლენებს.

კიუნ მუნ ჰვანის „კორეის ისტორია - ეპიზოდური ნარატივი“ (A History of Korea , Palgrave Macmillan, 2010) წელი. წიგნი დეტალურად განიხილავს კორეის სოციალურ სტრუქტურასა და მის განვითარებას, კორეის კულტურის ჩამოყალიბებასა და კულტურის გავლენას სოციუმზე.

ერთ-ერთი წამყვანი დასავლელი კორეოლოგის გრეგ ბრეზინსკის წიგნი „ერის მშენებლობა სამხრეთ კორეაში: კორეელები, ამერიკელები და დემოკრატიის მშენებლობა“ (Nation Building in South Korea: Koreans, Americans, and the Making of a Democracy) 2007, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გამომცემლობა, რომელშიც იგი დეტალურად განიხილავს სამხრეთ კორეაში ამერიკელების გავლენას. ავტორი უღრმავდება ამერიკელების გავლენის კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს კორეის ნახევარკუნძულზე. აღნიშნული წიგნი არის კორეის თანამედროვე ისტორიისა და კორეაზე ამერიკელების გავლენის საუკეთესო დღემდე არსებული მიმოხილვა.

სტუეკის „კორეის ომი: საერთაშორისო ისტორია“ (The Korean War An International History , პრინსტონი, 1997) რომელიც დეტალურად განიხილავს კორეის ომის დროინდელ დიპლომატიურ სიტუაციას, ჩართული ქვეყნებისა და კონკრეტული ადამიანების მოქმედებებსა და ურთიერთობებს.

ალექსის დუდენის „კორეის იაპონური კოლონიზაცია - დისკურსი და ძალაუფლება“ (Discourse and Power: Japan's Annexation of Korea , ჰავაის უნივერსიტეტი, 2004 წელი) რომელიც ხსნის იაპონიის ოკუპაციის დროს კორეის ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენებსა და მათ როლს თანამედროვე კორეისა და იაპონიის ურთიერთობებში.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სამეცნიერო კვლევები:

სინ ბომ სიკის „კორეის რესპუბლიკის „ჩრდილოეთის პოლიტიკის“ ისტორიული რეტროსპექტივა და რუსეთ-კორეის ურთიერთობები“ („Историческая ретроспекция «Северной Политики» РК и корейско-российские отношения“, რუსეთი-კორეის დიალოგის ჯგუფის გამომცემლობა, 2018), რომელშიც დეტალურად არის განხილული „ჩრდილოეთის პოლიტიკის“ ისტორიული რეტროსპექტივა და მისი განვითარებას. ნაშრომი დიდ ყურადღებას უთმობს რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობებს, თუმცა ზედაპირულად საუბრობს ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე.

ი სან ჭუნის „ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკა და რუსეთ-კორეის ეკონომიკური ურთიერთობა“ („Новая Северная политика и меры по корейско-российскому экономическому сотрудничеству“, რუსეთი-კორეის დიალოგის ჯგუფის გამომცემლობა, 2018), რომელშიც ყურადღება გამახვილებულია რუსეთ-კორეის ეკონომიკურ ურთიერთობებზე და შესაძლო ერთობლივ პროექტებზე, მათ შორის - ერთობლივი ენერგოსისტემისა და რუსეთი - ჩრდილოეთ კორეა - სამხრეთ კორეა ნავთობსადენი;

ი სონგ უს „რუსეთ-კორეის თანამშრომლობა ენერგეტიკის, ლოჯისტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში“ („Корейско российское сотрудничество в области энергетики, транспорта и логистики“, რუსეთი-კორეის დიალოგის ჯგუფის გამომცემლობა, 2018) რომელშიც საუბარია ენერგეტიკის, ლოჯისტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში რუსეთ-კორეის ურთიერთობებსა და პერსპექტივებზე.

კორეის რესპუბლიკის ჩრდილოეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საპრეზიდენტო კომიტეტის გამოცემა „ჩრდილეოთის ახალი პოლიტიკა და კორეა-ცენტრალური-აზიის თანამშრომლობა“ (북방경제협력위원회 – Report 2018), 2018 წელი, რომელშიც განხილულია კომიტეტის საქმიანობა და კორეა- ჩრდილოეთის ქვეყნების შესაძლო ურთიერთობა.

ასევე „ჩრდილეოთის ახალი პოლიტიკა და კორეა-კავკასიის თანამშრომლობა“; ჰანკუკის უნივერსიტეტის გამოცემა „რუსეთი 2018: ანგარიში“ (러시아 Report 2018), რომელშიც განხილულია რუსეთისა და სამხრეთ კორეის ურთიერთოებბი 2018 წელს; „რუსეთ-კორეული ურთიერთობების პერსპექტივა 2030 წლამდე პერიოდში“.

ნაშრომზე მუშაობისას უაღრესად გამოსაყენებელი იყო ასევე სიღრმისეული ინტერვიუები, რომლებიც ჩავწერე კორეის რესპუბლიკაში 2019 წლის თებერვალში ჰანიანგის უნივერსიტეტის პროფესორ და ჩრდილოეთის საპრეზიდენტო კომიტეტის მთავარ ანალიტიკოსთან ბატონ ჰიუნ სიბ ბუნთან, რომელმაც განმიმარტა ჩრდილოეთის მიმართულების ძირითადი მიზნები და ამოცანები და გამაცნო კომიტეტის საქმიანობა, ასევე მნიშვნელოვანი იყო ინტერვიუ კუკმინის უნივერსიტეტის პროფესორ ანდრეი ლანკოვთან და ფიოდორ ტერტიცკისთან, რომლებთანაც ვისაუბრე რუსეთისა და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობებზე.

სტრუქტურა

ნაშრომი შედგება სამი ძირითადი თავისგან. პირველი თავი, კორეის ნახევარკუნძულის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, აღწერს კორეის ნახევარკუნძულს, ქმნის შთაბეჭდილებას კორეის ნახევარკუნძულზე მიმდინარე პროცესების საწყისებისა და თანამედროვე პოლიტიკაზე მათი გავლენის შესახებ.

პირველი თავი დაყოფილია ექვს ქვეთავად - პირველი ნაწილი, *კორეის ნახევარკუნძული იმპერიალიზმის ხანაში,* განხილულია კორეაში მიმდინარე პროცესები 1876 წლიდან 1910 წლამდე; მეორე ქვეთავი, *კორეის ნახევარკუნძული კოლონიზაციის ხანაში* განიხილავს კორეის ნახევარკუნძულის ოკუპაციას იაპონიის მიერ; მესამე ქვეთავი, *კორეის ომი*, განიხილავს კორეის ომის პერიოდს, ქვეყნის გაყოფასა და სამხრეთით - კორეის რესპუბლიკის, ხოლო ჩრდილოეთით - კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას; მეოთხე ქვეთავის, *კორეის რესპუბლიკის თანამედროვე ისტორია,* მოკლედ მიმოიხილავს კორეის რესპუბლიკის თანამედროვე ისტორიას; პირველი თავის ბოლო ქვეთავი, *კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის თანამედროვე ისტორია*, განიხილავს ჩრდილოეთ კორეის თანამედროვე ისტორიას, მასში რეჟიმის ჩამოყალიბებას და ამ რეჟიმის ისტორიას კორეის ომიდან დღემდე.

ნაშრომის მეორე თავი, *კორეის რესპუბლიკის ურთიერთობები რეგიონის წამყვან ძალებთან* განიხილავს კორეის რესპუბლიკის დიპლომატიურ ურთიერთობებს

მსოფლიოსა და რეგიონის წამყვან ქვეყნებთან - იაპონიასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ამ თავში არ არის განხილული რუსეთ-კორეის ურთიერთობები, რადგანაც კორეის რესპუბლიკის „ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკა“ განსაკუთრებულ როლს უთმობს რუსეთს, რაზეც საუბარი მესამე თავში მექნება. მეორე თავი დაყოფილია სამ ქვეთავად: პირველი, *კორეის რესპუბლიკის და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები,* რომელშიც განხილულია კორეის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები; მეორე - *კორეის რესპუბლიკისა და იაპონიის ურთიერთობები,* რომელშიც საუბარია იაპონია-კორეის ურთიერთობებზე და კორეის ოკუპაციის შედეგად წარმოშობილ პრობლემებსა და წყენებზე; და მესამე, *კორეის რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობები*, რომელშიც საუბარია კორეის რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შორის ურთიერთობებზე.

ნაშრომის მესამე თავი უშაულოდ ეხება *კორეის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ურთიერთობებს.* პირველ ქვეთავში საუბარია კორეის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობებზე, მეორე ქვეთავში - კორეის რესპუბლიკისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ურთიერთობებზე, ხოლო მესამე ქვეთავში - კორეის რესპუბლიკისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობებზე.

თავი I. კორეის რესპუბლიკის მოკლე პოლიტიკური ისტორია

კორეის ნახევარკუნძული აღმოსავლეთ აზიაში მდებარეობს. ნახევარკუნძული აღმოსავლეთით შემოსაზღვრულია იაპონიის ზღვით (რომელსაც კორეის რესპუბლიკაში აღმოსავლეთის ზღვას, ხოლო კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში - კორეის აღმოსავლეთის ზღვას უწოდებენ (Kyodo News, 2016))), სამხრეთით - აღმოსავლეთ ჩინეთის, ხოლო დასავლეთით - ყვითელი ზღვით. იაპონიის კუნძულებისგან კორეის ნახევარკუნძული კორეის სრუტით არის გამოყოფილი.

ნახევარკუნძულს გააჩნია 2000 წლიანი წერილობითი ისტორია და მდიდარი და უნიკალური კულტურული ტრადიცია, რომელიც ჰომოგენიზაციისა და პოლიტიკური ერთობის მაღალი დონით ხასიათდება (Seth, 2011). ერთი პოლიტიკური მმართველის ქვეშ ნახევარკუნძული პირველად გაერთიანდა 675 წელს, და მცირე მოკლევადიანი პერიოდის გარდა, რჩებოდა ერთიანი მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე. მიუხედავად ანტიკურ ხანაში სხვადასვა ერების შემოსვლისა, ნახევარკუნძულის მაცხოვრებლებს აერთიანებდათ საერთო პოლიტიკური სისტემა და ენა.

კორეული ენა, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა იაპონურ ენასთან, სრულიად უნიკალურია და საკუთარი ფონეტიკურ-ლინგვისტური სტრუქტურის მქონეა. ამ ფაქტორებმა განაპირობეს ის, რომ კორეაში ეთნიკურობა, ენა და პოლიტიკური ერთობა თავისთავადი და ურთიერთდამოკიდებული იყო. კორეის ჰომოგენურობამ, გარკვეულწილად, განაპირობა ასევე მისი საგარეო პოლიტიკური კურსი - იმპერიალიზმის ეპოქამდე კორეის ზედმეტსახელი იყო „განდეგილი სამეფო“, იგი სრულად იყო ჩაკეტილი და XIX საუკუნის დაწყებამდე არსებობდა პოლიტიკური, ტერიტორიული და ინსტიტუციური სტაბილურობისა და ეთნიკური ერთიანობის პირობებში. იმპერიალიზმის ხანამ კორეის სიტუაცია სრულიად შეცვალა. მისი კოლონიალური გამოცდილება იყო არატიპიური, რადგანაც იგი გახდა არა რომელიმე ევროპული სახელმწიფოს, არამედ საკუთარი მეზობლის - იაპონიის - კოლონია. ნახევარკუნძულზე სიტუაცია სრულიად გაუარესდა 1945 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასრულებასა და იაპონიის წაგების შემდეგ ნახევარკუნძულზე

შემოვიდა ორი ახალი ძალა - ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, რომლებმაც ნახევარკუნძული გაყვეს 38-ე პარალელზე. (Seth, 2011)

ერი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო ერთ-ერთი ყველაზე ჰომოგენური ერი მსოფლიოში, სრულიად ხელოვნურად გაიხლიჩა ორ სახელმწიფოდ განსხვავებული პოლიტიკური სისტემით. ორივე სისტემა და ორივე კორეული სახელმწიფო ნახევარკუნძულის გაყოფას მიუღებელ ფაქტად მიიჩნევდა, საკუთარ თავს კი ერთადერთ ერთიან ლეგიტიმურ და სუვერენულ კორეულ სახელმწიფოდ მიიჩნევდა, რაც კორეის ომში გადაიზარდა. საბოლოო ჯამში, კორეის ომის შედეგად ჩამოყალიბდა ორი სახელმწიფო: ჩრდილოეთით - იზოლირებული, ტოტალიტარული და ღარიბი, სადაც შეიქმნა კიმის ოჯახის კულტი, ხოლო სამხრეთით - მდიდარი, დემოკრატიული და კოსმოპოლიტური სახელმწიფო. (BAJPAI, 2019)

საკუთარ მეზობლებთან - რუსეთის ფედერაციასთან, ჩინეთთან და იაპონიასთან შედარებით - კორეა მცირე სახელმწიფოა, რომელსაც უწევს დიდი სახელმწიფოების ინტერესების კვეთაზე ბალანსირება. კორეის ისტორიაზე საუბრისას აუცილებელია კონფუციანელობის განსაკუთრებული როლის ხაზგასმა, რომელმაც განაპირობა კორეული ქრონიკების დეტალიზაცია და სოციალური სისტემის თავისებურებები, რომელიც, მნიშვნელოვანი სახეცვლილებების მიუხედავად, დღესაც არის შენარჩუნებული. (Seth, 2011)

კორეის მრავალსაუკუნვანი ისტორიის განმავლობაში, ყველაზე გრძელი პერიოდი (ლის დინასტიის მმართველობა, რომელიც 1392 წლიდან 1910 წლამდე გაგრძელდა) კორეა იყო ჩაკეტილი სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ორ მეზობელთან - ჩინეთთან და იაპონიასთან ურთერთობდა. კორეის გახსნა XIX წელს, მეფე კოჯონის გამეფებასთან ერთად დაიწყო - ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა იმ ფაქტორთა უმრავლესობა, რომელიც განაპირობებს კორეისა და მისი მეზობლების ურთერთობასა და მათთან მიმართებაში საგარეო პოლიტიკას.

კორეის რესპუბლიკა ისტორიულად იყო აღმოსავლეთ აზიაში ჰეგემონიისთვის მებრძოლი ძალების მსხვერპლი, (Snyder, Domestic Constraints on South Korean Foreign

Policy, 2018) ამავდროულად კორეის საგარეო პოლიტიკა დიდწილად განიცდის ისტორიულად ჩამოყალიბებული ნარატივების გავლენას. ჩინეთის გავლენის ზრდასთან ერთად, იზრდება ასევე კორეის სიფრთხილე საგარეო ურთიერთობებისა და პოლიტიკის წარმართვის კუთხით, რის გამოც კორეა აქტიურად ეძებს საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმამტკიცებელ ახალ გზებს. (Snyder, South Korea at the Crossroads, 2018)

1.1. კორეა - „განდეგილი სამეფო“

კორეას ნახევარკუნძულზე პოლიტიკური ერთეულის - ჩოსონის ჩამოყალიბების შემდეგ კორეა აღიარებდა ჩინეთის ნომინალურ ვასალურობას საგარეო პოლიტიკაში და ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც „განდეგილი სამეფო“. ამ პერიოდში კორეის საგარეო დიპლომატიური ურთიერთობები ხასიათდება უმკაცრესი იზოლაციონიზმით. (Seth, 2011)

ექვსი საუკუნის განმავლობაში კორეელები ურთიერთობდნენ ჩინეთთან, იაპონიასთან და, ჩინეთის გავლით, აზიის სხვა ხალხებთან: ვიეტნამელებთან, სიამელებთან და აზიის სხვა ხალხებთან. პირველი კონტაქტი ევროპელებთან XVI საუკუნეში შედგა, როდესაც კორეელებამდე მიაღწია ინფორმაციამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „ფულანჯი“ (ფრანგების) გამოჩენის შესახებ. (Seth, 2011)

1597 წელს იაპონურ სამხედროებთან ერთად კორეაში ჩამოვიდა იეზუიტი გრიგორიო დი კესპედესი, მაგრამ მისი მოგაზაურობისა და მოღვაწეობის შესახებ კორეული ცნობები არ არსებობს. ჰიდაიოშის თავდასხმის დროს იაპონიაში წაყვანილი კორეელების ნაწილმა მიიღო ქრისტიანობა, მათ შორის ერთ-ერთი იყო ანტონიო კორეა, რომელიც მოგვიანებით იტალიაში გადასახლდა და ცოლად ევროპელი მოიყვანა. ის კორეაში არასდროს დაბრუნებულა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე არ არსებობს რამე ცნობა, რომელიც დაადასტურებდა ევროპაში კორეელის მოგზაურობას და უკან დაბრუნებას. ევროპელებთან აქტიური პოლიტიკური კონტაქტი კორეელებმა XVII-XVIII საუკუნეში დაამყარეს. 1614 წელს პეკინში ელჩად დანიშნულმა ი სუ გვანმა

დატოვა ცნობები პეკინში არსებული იეზუიტური მისიისა და მისი ხელმძღვანელის შესახებ. ი სუ გვანი გაოცებული იყო ევროპელების რუკებითა და საათებით. მან ასევე დატოვა ცნობები პორტუგალიის და ინგლისის ადგილომდებარეობის შესახებ: მისი ცნობის მიხედვით, პორტუგალია სიამის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა, ხოლო ინგლისი - ცენტრალურ აზიაში. საინტერესო არის ასევე როგორ იცვლებოდა კორეელების დამოკიდებულება ევროპელების მიმართ: XVIII საუკუნის დასაწყისში ევროპელი აღიქმებოდა არა როგორც კულტურისა და ტრადიციების მატარებელი (ჩინეთისგან განსხვავებით), არამედ უბრალოდ როგორც ჭკვიანი ბარბაროსი, რომელსაც შეძლო საინტერესო და უჩვეულო ნივთების წარმოება. ამ ურთიერთობის კარგი ილუსტრაცია არის კორეელი დიპლომატის ი იონგ ჰოსა და იეზუიტი მისიონერის, ჟოაო როდრიგესის, მიმოწერა. მიმოწერაში კამათი მიდიოდა კოსმოლოგიასა და სინოცენტრიზმზე, ი იონგ ჰო ამტკიცებდა, რომ მსოფლიოს ცენტრი არის ჩინეთი. მეცხრამეტე საუკუნემდე კორეაში მტკიცედ არსებობდა მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ აზიის ცივილიზაცია კულტურად და ტრადიციულად აღემატებოდა დასავლურ ცივილიზაციას, რასაც ამყარებდა ღრმა რწმენა ჩინეთის ცენტრალურ როლზი კოსმოლოგიაში. (Seth, 2011) ჩინეთის როლი კარდინალურად შეიცვალა იმპერიალიზმის ეპოქის მოსვლასა და კორეის „გახსნასთან“ ერთად. ამავე პერიოდში იწყებს ჩამოყალიბებას კორეის საგარეო პოლიტიკა, რომელსაც უკვე ახასიათებს რეალიზმისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი იდეა: ძალთა ბალანსი.

1.2. კორეის „გახსნა“

1832 წელს ბრიტანული სამხედრო ხომალდი *ლორდი ამჰერსტი*, მიადგა კორეის სანაპიროს და ადგილობრივებს ვაჭრობა შესთავაზა. მიუხედავად კორეელების უარისა, 1845 წელს ბრიტანული სამხედრო ხომალდი *სამარანგი* ისევ მაიდგა კორეის ნაპირებს ანალოგიური შეთავაზებით. კორეელებმა, ჩინეთში საკუთარი საელჩოს მეშვეობით, მიმართეს ჩინეთს ცინის მთავრობას თხოვნით, ხელი შეეშალა ევროპელების სავაჭრო შეთავაზებების გაგზავნისთვის, თუმცა 1846 წელს კორეაში ფრანგული, ხოლო 1854 წელს - რუსული ხომალდები შევიდნენ, რომლებიც კორეელებთან საბრძოლო შეტაკებაშიც კი მოყვნენ. (Seth, 2011)

სიტუაცია ასევე რადიკალურად იცვლებოდა რეგიონში: ოპიუმის ომის შედეგად დაიმსხვრა სინოცენტრული სამყაროს აღქმა, რასაც დაემატა რუსეთის იმპერიის მიერ კორეის ჩრდილოეთით ჩინეთის კუთვნილი ტერიტორიების ანექსია და ჩრდილოეთის საზღვარზე ვაჭრობის მოთხოვნით გაგზავნილი რაზმების სასაზღვრო შეტაკებები კორეულ ძალებთან; 1854 წელს ამერიკელებმა აიძულეს იაპონია, ასევე გახსნილიყო დასავლეთთან ვაჭრობისთვის. ყოველივე ამას დაემატა კორეაში „დასავლური სწავლების“ (სოჰაკის), ანუ ქრისტიანობის გავრცელება. მიუხედავად იმისა, რომ კორეელთა უმრავლესობისთვის ქრისტიანობა მიუღებელი იყო ცელიბატის, თვითგვემისა და საოცრებების რწმენის გამო, ინტელექტუალური ელიტა დაინტერესებული იყო ქრისტიანული ფილოსოფიით. ქრისტიანობის გავრცელება კორეაში ასევე უნიკალურია იმდენად, რამდენადაც კორეელებს თითქმის არ ჰქონიათ შეხება კათოლიკე ან სხვა ქრისტიან მისიონერებთან: კორეაში შემოვიდა ჩინურად თარგმნილი ქრისტიანული ტექსტები, რომელთა დამოუკიდებელი გაზიარებისა და გააზრებისა და თვითსწავლის შედეგად კორეაში შეიქმნა ქრისტიანთა ჯგუფი. მოგვიანბეით ქრისტიანობა და ქრისტიანები კორეაში მიჩნეულები იყვნენ ევროპის აგენტებად და მოღალატეებად. რელიგიური საკითხი ასევე შიდა პოლიტიკაში გამოიყენეს არისტოკრატიულმა ოჯახებმა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ქრისტიანების მდგომარეობა ქრისტიანებისა და დასავლეთისადმი დადებითად განწყობილი ფრაქციის წაგების შემდეგ. 1801-1864 წლებში ხელისუფლების წაქეზებით ქრისტიანების რამდენიმე ხოცვა მოეწყო. (Seth, 2011)

კორელეების იზოლირებულობის სურვილისა და დასავლური სახლემწიფოების ინტერესების შეჯახების შემდეგი ეპიზოდი არის მეფე კოჯონის (1864 - 1907) მმართველობა. მეფის მცირეწლოვნების პერიოდში რეგენტის პოსტი დაიკავა მამამისმა - ტევონგუნმა. ტევონგუნმა წამოიწყო სწრაფი რეფორმები, რომელთა მიზანი მონარქის ძალაუფლების გამყარება და გადასახადების შეგროვების დალაგება იყო. თავდაპირველად ტევონგუნი ქრისტიანების მიმართ დადებითად იყო განწყობილი, თუმცა კათოლიკეთა აქტიურობა მან დაუკავშირა საფრანგეთის მცდელობებს ჩარეულიყო კორეის შიდა საქმეებში, და 1866 წელს ქრისტიანთა მასობრივი დევნა წამოიწყო. მიუხედავად ჩინეთის ცინის დინასტიის გაფრთხილებისა, 1866 წლის მარტში

მან სიკვდილით დასაჯა ცხრა ფრანგი მისიონერი, რომელმაც ქვეყნის დატოვებაზე უარი განაცხადა. ამავე წლის აგვისტოში ამერიკის სამხედრო ხომალდი *გენერალი შერმანი* გაუყვა მდინარე თედონს და პხენიანამდე მიაღწია, სადაც მოითხოვა კორეის გახსნა ვაჭრობისთვის. მან ცეცხლი გაუხსნა შეკრებილ მაცხოვრებლებს, რომლებიც ხომალდის წასვლას მოითხოვნდენ. უკანა გზაზე ტალღამ ხომალდი მდინარის სანაპიროზე ამოაგდო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო ხომალდის დაწვისა ყველა მეზღვაურის მკვლელობის გადაწყვეტილება. ეს მოვლენა ჩრდილოეთ კორეაში ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც „ამერიკულ იმპერიალიზმთან ბრძოლის დაწყების დღე“. ამავე წლის ოქტომბერში ფრანგი მისიონერების სიკვდილის დასჯის საპასუხოდ საფრანგეთმა გამოაგზავნა შვიდხომალდიანი ესკადრა ადმირალ როზეს ხელმძღვანელობით. ფრანგულმა ესკადრამ მოახერხა მდინარე ჰანის სათავეში კუნძულის დაკავება, თუმცა საპასუხოდ ტევონგუნმა გამოაცხადა მობილიზაცია და რამდენიმეათასიანი ჯარი შეკრიბა, რომელმაც სეულის ბუდისტურ ტაძართან ესკადრასთან ბრძოლაში გაიმარჯვა. ზამთრის მოახლოების გამო ფრანგები იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ ნახევარკუნძული. 1867 და 1868 წლებში ამერიკელებმა გააგზავნე ორი ხომალდი ადმირალ *გენერალი შერმანის ბედის გასარკვევად,* თუმცა კორეელებმა უარი განაცხადეს მათთან თანამშრომლობაზე. კორეელებსა და ევროპელებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა 1868 წლის მაისის ინციდენტმა, როდესაც გერმანელმა ვაჭარმა ერნესტ ოპერტმა გახსნა ტევონგუნის მამის საფლავი და სცადა ტევონგუნის მამის ძვლების სანაცვლოდ ვაჭრობის გახსნა. (Seth, 2011)

1871 წელს ამერიკელებმა გაარკვიეს *გენერალი შერმანის* ბედი და კორეელების დასჯა გადაწყვიტეს. ადმირალ ჯონ როჯერსის ესკადრამ დაიკავა ქალაქი კანგჰვა, თუმცა კორეელების წინააღმდეგობის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა ნახევარკუნძული. (Seth, 2011)

სიტუაცია ასევე იძაბებოდა აღმოსავლეთით: იაპონიაში მეიჯის რეფორმებმა კორეაში სრული მიუღებლობა გამოიწვია. ტოკუგავას შოგუნატის დამხობისა და იაპონიაში იმპერატორის რესტავრაციის იდეა მიუღებელი იყო კორეელებისთვის,

რადგანაც ეს აყენებდა იაპონიის იმპერატორს ერთ საფეხურზე ჩინეთის იმპერატორთან. სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა 1870 წელს ევროპულ ყაიდაზე შეკერილ მუნდირებში ჩაცმული იაპონური საელჩოს ვიზიტმა ქალაქ პუსანში, რომელთა ხომალდზე ასევე იყო გერმანიის ელჩი, რომელმაც მოითხოვა ვაჭრობის დაწყობა კორეელებთან. 1873 და 1875 წელს იაპონელებმა სრული კონტროლი დაამყარეს ოკინავაზე და მიაღწიეს შეთანხმებას კურილიის კუნძლებთან დაკავშირებით რუსეთთან. 1873 წელს იაპონელები განიხილავდნენ კორეის ნახევარკუნძულზე ფართომასშაბიანი თავდასხმის დაწყება, თუმცა ეს გეგმა გადაიდო.

1875 წელს იაპონელებმა გადაწყვიტეს კორეაში სამხედრო ხომალდების გაგზავნა. ქალაქ პუსანში გაჩერების შემდეგ, ხომალდები შევიდნენ უცხოელებისთვის აკრძალული კუნძულ კანგჰვას წყლებში, რასაც კორეელებმა ცეცხლის გახსნით უპასუხეს. იაპონელებმა გაანადგურეს კუნძულზე არსებული ფორტი, და მოითხოვეს ბოდიშის მოხდა „იაპონურ ხომალდებზე გაუმართლებელი და ვერაგული თავდასხმისთვის.“ ბოდიშთან ერთად იაპონელებმა მოითხოვე დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობეიბს გახსნა.

ეს მოვლენები ვითარდებოდა კორეის სამეფო ტახტის კრიზისის ფონზე - 1873 წელს ტევონგუნს მოუწია რეგენტის უფლებამოსილებაზე უარის თქმა და მმართველობა მეფე კოჯონის ხელში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მრჩევლების უმრავლესობა ეწინააღმდეგებოდა მოლაპარაკებებს, მეფემ გადაწყვიტა მოლაპარაკებებზე დაანხმება. ამ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩინეთის მაგალითმა, რომელიც ასევე დათანხმდა მოლაპარაკებების ჩატარებას. (Seth, 2011)

1876 წელს მეფემ ხელი მოაწერა კანგჰვას ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება კორეისთვის უაღრესად მნიშვნელოვნი იყო, რადგანაც აღიარებდა მას როგორც დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს, და არა როგორც ჩინეთის ვასალურ სამეფოს. ხელშეკრულების თანახმად, კორეა აღიარებდა იაპონიის ახალ ხელისუფლებას, ხსნიდა პუსანისა და კიდევ ორი ქალაქის პორტებს იაპონელი ვაჭრებისთვის, ნებას რთავდა იაპონელებს შესულიყვნენ კორეის ტერიტორიულ

წყლებში, ნებას რთავდა იაპონელებს დასახლებულიყვნენ ვაჭრობისთვის ღია პორტებში და ანიჭებდა იაპონელებს ექსტრატერიტორიულობის უფლებით, რაც ნიშნავდა, რომ კორეაში იაპონელები ემორჩილებოდნენ არა კორეულ, არამედ იაპონურ სამართალს. მეთერთმეტე მუხლით გათვალისწინებული ვაჭრობის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა რამდენიმე თვეში. ეს ხელშეკრულება სრულიად ეწინააღმდეგებოდა კორეის მრავალსაუკუნოვან სინოცენტრისტულ ტრადიციას. ამ ხელშეკრულების მუხლი, რომელიც აყენებდა კორეას დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ, სრულიად ეწინააღმდეგებოდა კორეის ფორმალურ და სიმბოლურ ვასალურ დამოკიდებულებას ჩინეთის იმპერიასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთისადმი დამოკიდებულება ატარებდა არა იმდენად პოლიტიკურ, არამედ სიმბოლურ მნიშნველობას - კორეული კოსმოგონია, პოლიტიკასთან ერთად, სამყაროს ცენტრად ჩინეთს მიიჩნევდა და განიხილავდა მთელ მსოფლიოს ან როგორც ჩინეთის ვასალს, ან როგორც ბარბაროსს. კანგჰვას ხელშეკრულებამ ეს მრავალსაუკუნოვანი აღქმა დაანგრია.

კანგჰვას ხელშეკრულება კორეის საგარეო პოლიტიკისა და ისტორიისთვის ყველაზე ფუნდამენტური მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელმაც დაასრულა ქვეყნის იზოლაცია, შეწყვიტა ჩინეთისადმი პიეტეტისა და ვასალიტეტის დამოკიდებულება, დაიწყო ნახვარკუნძულზე იაპონელების შემოსვლა და ჩააგდო კორეა მეცხრამეტე საუკუნის იმპერიების ინტერესების დაპირისპირების ველზე.

1876-1884 წლებში კორეამ დაიწყო რეფორმებისთვის მომზადება. კანგჰვას ხელშეკრულების შემდეგ, კორეამ გააგზავნა საელჩო იაპონიაში. ელჩი, კი კი სუ, გაოცებული იყო იაპონიის რეფორმებით და ჩამოსვლის შემდეგ მოუწოდებდა კოჯონს ანალოგიური რეფორმები გაეტარებინა კორეაში. 1880 წელს კოჯონმა იაპონიაში მეორე საელჩო გააგზავნა, რომელიც სამშობლოში ჩინელი დიპლომატის, ჰუანგ კუნქსიანის, დოკუმენტით „კორეის სტრატეგია“ ჩამოვიდა. ამ დოკუმენტში საუბარი იყო საფრთხეზე, რომელსაც კორეისთვის რუსეთი წარმოადგენდა და მოუწოდებდა კორეას კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქონოდა ეკონომიკურად შედარებით სუსტ იაპონიასთან, გაეგრძელებინა და გაეღრმავებინა კეთილმეზობლური ურთიერთობები ჩინეთთან და, კორეელი კონსერვატორებისთვის მოულოდნელად, სთავაზაობდა

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ალიანსს რუსეთის წინააღმდეგ. მეფისთვის ამ დოკუმენტის წარდგენისა და მეფის მიერ მისი მოწონების შემდეგ, „დასავლელ ბარბაროსებთან“ ალიანსის იდეით შეძრწუნებულმა კნსერვატორებმა მეფის ტახტიდან გადაყენება გადაწყვიტეს. კოჯონმა მოახერხა ამბოხის ჩახშობა და კონსერვატიული ფრთის ხელმძღვანელი სიკვდილით დასაჯა, დანარჩენები კი გადაასახლა. „კორეის სტრატეგია“ კოჯონის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტი გახდა.

1879 წელს კორეის საქმეები ცინის იმპერიის მაღალჩინოსანმა და ტაიეპეის აჯანყების ჩამხშობმა, ლი ჰონგჟანგმა ჩაიბარა. ჩინეთში თვითგაძლიერების იდეოლოგიის ერთ-ერთი ავტორი, ლი მოუწოდებდა კორეელებს ასევე გადმოეღოთ ეს სტრატეგია დასავლეთის წინააღმდეგ შესაძლო ბრძოლისთვის. თვითგაძლიერების სტრატეგია გულისხმობდა დასავლეთის მიღწევების - ძირითადად, ტექნოლოგიური მიღწევების - გადმოღებას.

1880 წელს, ასევე ჩინელების რჩევით, კოჯონმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 1882 წლის 22 მაისს ამერიკამ და კორეამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელმაც ნება დართო ამერიკელ ვაჭრებს ევაჭრათ კორეაში; ამავდროულად, ხელშეკრულების გარკვეული პუნქტები კონსერვატორებისთვის სრულიად მისაღები იყო, რადგანაც აწესებდა მაღალ ტარიფებს ვაჭრობაზე, აწესებდა რბილ ექსტრატერიტორიალობასა და არ რთავდა მისიონერული საქმიანობის ნებას. კოჯონი ასევე იმედოვნებდა, რომ ხელშეკრულება მოიცავდა კორეის დაცვას მესამე ძალედბის მხრიდან სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში. 1883 წელს კორეელებმა და ამერიკელებმა გაცვალეს საელჩოები. ამერიკაში ჩასულმა კორეელმა დიპლომატებმა ამერიკის პრეზიდენტის წინაშე შეასრულეს იმპერატორისადმი პატივის მიგების ძველჩინური კოუტოუს რიტუალი, რამაც ამერიკის მეოცე პრეზიდენტი ჩესტერ ართური გააოცა. კოჯონმა ასევე საზღვარგარეთ გააგზავნა ახალგაზრდების რამდენიმე ჯგუფი, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩამოაყალიბეს განმანათლებლობის პარტია, რომელიც მოუწოდებდა მეფეს ჩაეტარებინა სწრაფი რეფორმები. (Seth, 2011)

რეფორმების მცდელობებმა გამოიწვიეს კონსერვატორების წინააღმდეგობა, რომლებიც იკრიბებოდნენ რეგენტის, ტევონგუნის ირგვლივ. 1882 წელს კოჯონის წინააღმდეგ აჯანყდა ჯარისკაცების ჯგუფი, რომელთა დასაშოშმინებლად კოჯონმა გამოიძახა მამამისი. აჯანყებულებმა გადაწვეს იაპონიის წარმოამდგენლობა, ხოლო იაპონიის ელჩი იძულებული იყო გაქცეულიყო კორეიდან.

ამ ინციდენტმა გამოავლინა იაპონელებსა და ჩინელებს შორის არსებული დაპირისპირება. იაპონიის ელჩი კორეაში სამხედრო შენაერთით დაბრუნდა, რის საპასუხოდ ჩინეთმა, XVI საუკუნის შემდეგ პირველად, გააგზავნა კორეის ნახევარკუნძულზე 4500 კაციანი ჯარი, რომელმაც დააპატიმრა ტევონგუნი და ტიანჯინში გადაასახლა. იაპონელებმა, საპასუხოდ, შეიმუშავეს ჩემულპოს ხელშეკრულება, რომელმაც დართო მათ სეულის საელჩოში მცირე კონტინგენტის ყოლა. ჩინეთმა გამოიყენა სიტუაცია კორეის ნახევარკუნძულზე საკუთარი კონტროლის გასაძლიერებლად. კორეის შიდა პოლიტიკა 1885 წლამდე კორეის შიდა პოლიტიკა ხასიათდებოდა დაპირისპირებით რეფორმების მხარდამჭერი ახალგაზრდებით, რომლებისთვისაც სამაგალითო იყო იაპონიაში მიმდინარე რეფორმები, და ჩინეთზე ორიენტირებული კონსერვატორების ბრძოლით. (Seth, 2011)

1885 – 1894 წლებში კორეის შიდა პოლიტიკაში გაიმარჯვა კონსერვატორთა ჯგუფმა, რომელსაც ზურგს ჩინეთი უმაგრებდა. ჩინეთმა სცადა კორეის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების შეზღუდვა და ეცადნენ ხელი შეეშალათ დასავლეთში კორეის მუდმივმოქმედი მისიების გახსნისთვის. ჩინეთმა ასევე დაბლოკა კორეელების მცდელობები აეღო საერთაშორისო ვალი ქვეყნის მოდერნიზაციის დასაფინანსებლად. კონსერვატორების მხარდაჭერით, ჩინელებმა აკრძალეს კორეელების მოგზაურობა საზღვარგარეთ, რამაც შეზღუდა რეფორმისტების პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობის ზრდა. ჩინელების მცდელობამ, დაემყარებინათ კორეაში პირდაპირი მმართველობა ბუნებრივად გამოიწვია წინააღმდეგობა. 1894 წელს ჩინეთისა და იაპონიის შეტაკებამ კიდევ უფრო დაანახა კორეელებს აუცილებლობა, დაებალანსებინათ ჩინეთის გავლენა. (Seth, 2011)

1885 წელს კოჯონი განიხილავდა კორეის რუსეთის იმპერიის პროტეჟედ გამოცხადების შესაძებლობას, რასაც მოყვა რუსი დიპლომატების მიერ სამხედრო მრჩევლების გამოგზავნის შემოთავაზება. რუსეთისთვის კორეის ნახევარკუნძული ინტერესს თბილ ზღვაში პორტების გამო წარმოადგენდა - განსაკუთრებული მნიშვნელობა ქალაქ ვონსანს ჰქონდა. ამავე წელს ქალაქ ვლადივოსტოკში საიდუმლო რუსული მისია გაიგზავნა.

რუსეთის გააქტიურებაზე საპასუხოდ ბრიტანეთმა 1885 წლის აპრილში დაიკავა მცირე, მაგრამ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კუნძული კიომუნდო. რუსეთისგან კორეის ნებისმიერი ნაწილის ოკუპაციაზე უარის შესახებ გარანტიების მიღების შემდეგ, ბრიტანელებმა კუნძული დატოვეს. რუსეთისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატები კორეაში მოვლენებისადმი ინდიფერენტულები იყვნენ და კოჯონის თხოვნებს ეზრუნათ კორეის უსაფრთხოების გარანტიებზე, დიდწილად უპასუხოდ ტოვებდნენ. (Seth, 2011)

კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც კორეაში მიმდინარე მოვლენებს განსაკუთრებით აკვირდებოდა, იყო იაპონია. ეკონომიკის ზრდასა და ჯარის გადამზადებასთან ერთად, იზრდებოდა იაპონიის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა კორეაზე. იაპონელების ინტერესი ეკონომიკურზე მეტად სტრატეგიული იყო - კორეის მხარე იაპონიაზე თავდასხმისთვის საუკეთესო პლაცდარმი იყო,და ამ საფრთხის ნეიტრალიზაცია იაპონიის მთავარ ინტერესს წარმოადგენდა. (Seth, 2011)

1892 წელს კორეაში განვითარდა თონგჰაკის აჯანყება. თონგჰაკის კულტი, რომელიც ქრისტიანობის, შამანიზმისა და კონფუციანელობის ნაზავი იყო, მოითხოვდა კორუფციის აღმოფხვრასა და „ადამიანების საკეთილდღეო მმართველობას“. აჯანყების ჩასახშობად ჩინეთმა სამხედრო ძალა გააგზავნა, რის შესახებაც შეატყობინა იაპონიის მთავრობას. იაპონიის მთავრობამ, ჩრდილოეთით მიმდინარე აჯანყებასთან ბრძოლის საბაბით, ქვეყნის სამხრეთით სამხედრო შენაერთები შეიყვანა. კორეისა და ჩინეთის მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად, იაპონელებმა ქვეყნის დატოვებაზე უარი თქვეს. იაპონელების შეთავაზე, ჩინეთთან ერთად კორეაში გატარებულიყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, ჩინეთმა უარით უპასუხა. (Seth, 2011)

24 ივლისს იაპონურმა ძალებმა დაიკავეს კორეის მეფის რეზიდენცია - კიონბოკის სასახლე და იარაღი ჩამოართვეს კორეულ სამხედრო ძალებს. შემდეგ დღეს, 25 ივლისს, ასანის ყურეში იაპონელები თავს დაესხნენ ჩინეთის ხომალდებს. იაპონია-ჩინეთის ომში გამარჯვების შემდეგ 1895 წელს შიმონოსეკის ხელშეკრულებით ჩინეთმა აღარა კორეა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, და უარი თქვა ვასალიტეტის ნებისმიერ გამოხატულებაზე; გადასცა იაპონიას ლიაოდუნი და ტაივანი; და დათანხმდა იაპონიისთვის კომპენსაციის გადახდას. (Seth, 2011)

1894 წლის ივლისიდან 1896 წლის თებერვლამდე კორეაში მიმდინარეობდა იაპონელების მიერ წაქეზებული აქტიური რეფორმები, რომლებიც ეწინააღდეგებოდა ქვეყანაში არსებულ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. კონბოკის სასახლის დაკავების შემდეგ, კორეის მეფე ფაქტობრივად გადაიქცა პატიმრად, ხოლო ქვეყანას იაპონიის წარმომადგენელი მართავდა. იაპონელების მიერ ინიცირებული რეფორმები მოიცავდა 1886 წლის მონობის აკრძალვას; კასტური დაყოფის აკრძალვასა და მოქალაქეთა გათანაბრებას; დაამყარა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი; აკრძალა ბავშვთა ქორწინება; შემოიღო დასავლური კალენდარი და შექმნა საჯარო სკოლების სისტემა. ჯამში, კაბოს რეფორმების შედეგად გამოიცა 200-მდე რეფორმა ჩატარდა. (Seth, 2011)

იაპონელების მმართველობას მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა რუსეთის იმპერიამ. ლიაოდუნის ანექსიით გაღიზიანებულმა რუსეთმა, რომელიც გეგმავდა ნახევარკუნძულზე საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდას, გერმანიასა და საფრანგეთთან ერთად მოითხოვა ნახევარკუნძულის გადაცემაზე უარის თქმა. (Seth, 2011)

სამმაგი შესაძლო ინტერვენციის საფრთხის წინაშე იაპონიამ უარი თქვა ნახევარკუნძულზე. ამ ქმედებით კორეაში გაძლიერდა დედოფალ მინის ფრაქცია, რომელიც აერთიანებდა იაპონიის წინააღმდეგ და პრორუსულად განწყობილ კორეელებს. 8 ოქტომბერს იაპონელების მიერ წაქეზებულმა კორეელების ჯგუფმა მოკლა დედოფალი მინი და მისი ორი მსახური, ხოლო მათი სხეულები დაწვა. ამ აქტმა გამოიწვია მკვეთრი ანტიიაპონური ტალღა კორეაში და საერთაშორისო საზოგადოების უკმაყოფილება. იაპონიამ გაიწვია საკუთარი წარმოამდგენელი, რეფორმისტებმა

დაკარგეს ხელისუფლება, ხოლო იაპონიის გავლენა ნახევარკუნძულზე ამ ქმედების შედეგად შემცირდა. (Seth, 2011)

1895 – 1905 წლებში ნახევარკუნძულზე ძალაუფლებისთვის ორი ძალა - იაპონიისა და რუსეთის იმპერიები იბრძოდნენ. 1895 წლის 11 თებერვალს პრორუსულად განწყობილმა კორეელებმა მეფე კონბოკის სასახლიდან გაიყვანეს და რუსეთის იმპერიის საელჩოში გადაიყვანეს, სადაც მეფე 1 წლის განმავლობაში დარჩა. საელჩოში მყოფი მეფე ყურადღებას არ აქცევდა კაბოს რეფორმისტებს და პირდაპირ ნიშნავდა კონსერვატორ მინისტრებს. 1896 წლის 14 მაისის ხელშეკრულებით რუსეთმა და იაპონიამ გავლენის სფეროები გაიყვეს ლობანოვ-იამაგატას მოსკოვის შეთანხმების საფუძველზე: იაპონელებმა მიიღეს უფლება, საკუთარი სამხედრო შენაერთებით ემოქმედათა სეული-პუსანის ტელეგრაფის დასაცავად; მხარეებმა შეზღუდეს საკუთრი სამხედრო წარმომადგენლობა კორეაში; აღიარებდა კორეის დამოუკიდებლობას; გადაწყვიტეს ერთობლივი სესხების გაცემა კორეის განვითარებისთვის. (Seth, 2011)

1896 წელს ნიკოლოზ II-ის კორონაციას ესწრებოდა კორეელი დიპლომატი მინ იონგ ჰვანი, რომელმაც მიაღწია რუსეთიდან სამხედრო ინსტრუქტორების გამოგზავნას კორეის ჯარის წვრთნისთვის. ამავე პერიოდში კორეაში შეიქმნა დამოუკიდებლობის კლუბი - კორეის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად მოღვაწე ჯგუფი. რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებამდე, კორეაში არსებობდა სუსტი მთავრობა და მეფე, ქვეყანამ ვერ მოახერხა ძლიერი საგარეო პოლიტიკური მფარველის მოძიება, ხოლო რუსეთი და იაპონია ნახევარკუნძულის დასაპყრობად ემზადებოდნენ. (Seth, 2011)

სიტუაცია რუსეთ-იაპონიის ომამდე ხასიათდება მცირე შეტაკებების სერიითა და რუსეთის მიერ მანჯურიის დაკავებით 1900 წლის ბოქსიორთა აჯანყების შედეგად, რომელიც მან ჯარების შეყვანის საბაბად გამოიყენა. 1902 წელს იაპონიამ და გაერთიანებულმა სამეფომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც იაპონია აღიარებდა ბრიტანეთის ინტერესებს ჩინეთში, ხოლო ბრიტანეთი აღიარებდა იაპონიის ინტერესებს კორეაში. 1903 წელს რუსეთ-კორეის საზღვარზე, იონგნამპოსთან, რუსი ჯარისკაცების ჯგუფმა გადალახა საზღვარი დაიწყო კორეის ტერიტორიაზე ფორტის

მშენებლობა. 1904 წელს იაპონელები მოულოდნელად დაესხნენ თავს რუსეთის ფლოტს პორტ-არტურში. (Seth, 2011)

დაწყებული ომის პირობებში კორეამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, თუმცა იაპონიის სწრაფმა ინტერვენციამ და დედაქალაქზე კონტროლის დამყარების შედეგად კორეის საგარეო საქმიათა მინისტრმა ხელი მოაწერა პროტოკოლს, რომლითაც კორეა იაპონიის პროტექტორატად ცხადდებოდა. პორტსმუტის ხელშეკრულებით რუსეთ-იაპონიის ომის დასრულებისა და რუსეთის წაგების შემდეგ, ნახევარკუნძული მთლიანად იაპონიის ხელში ჩავარდა. 1905 წელს კორეამ და იაპონიამ ფორმალურად გააფორმეს პროტექტორატის შესახებ ხელშეკრულება. 1907 წელს იაპონელებმა გააუქმეს პროტექტორატის ხელშეკრულება და დაიწყეს მომზადება ნახევარკუნძულის ანექსიისთვის. (Seth, 2011)

1.3. კორეის ნახევარკუნძულის კოლონიზაციის ხანაში

იაპონიის კოლონიალური მმართველობა არის სამხრეთისა და ჩრდილოეთ კორეის შიდა და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ისტორიული ფაქტი. როგორც სამხრეთი, ასევე ჩრდილოეთ კორეა იაპონიის კოლონიზაციის პერიოდს უაღრესად ნეგატიურად აფასებს, რასაც დღესაც აქვს გავლენა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის საგარეო პოლიტიკაზე. იაპონური მმართველობის ნეგატიური შეფასება რამდენიმე მიზეზს ეფუძნება: კორეის ნახევარკუნძულის ინდუსტრიალიზაციის გეგმა, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა მხოლოდ იაპონიის საკეთილდღეოდ, კორეელი ხალხის ექსპლუატაცია, კორეული კულტურისა და ისტორიის მარგინალიზაცია, კორეის ნახევარკუნძულის ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია და ჩინილპას სტატუსი. (Lee J.-W. , 2007)

რუსეთ-იაპონიის ომის დასრულებისა და რუსეთის წაგების შემდეგ, ნახევარკუნძული მთლიანად იაპონიის ხელში ჩავარდა. კორეის ოკუპაციის პერიოდი 1910 წლიდან 1945 წლამდე კორეის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, რომელსაც კორეელი ისტორიკოსები ხშირად აფასებენ,

როგორც XX საუკუნის უდიდეს კატასტროფას ქვეყნის გახლეჩასთან ერთად. (Lee J.-W. , 2007)

ქვეყნის ანექსიის შემდეგ იაპონიის მთავრობამ დაუდო საფუძველი მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, მაგრამ კორელეების ასიმილაციის მცდელობები და ხისტი, ავტორიტარული მმართველობა კორელეებისთვის მიუღებელი იყო.

კოლონიალური მმართველობა მკაცრი, ვერტიკალური და ცენტრალიზებული სისტემა იყო, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალ-გუბერნატორი. (Seth, 2011)

კოლონიალური მმართველობის პირველი ათი წელი განსაკუთრებით ხისტი იყო და კორეულ ისტორიოგრაფიაში ხშირად მოიხსენიება, როგორც „ამჰიუკკი“ - ბნელი პერიოდი. ეს პერიოდი ხასიათდებოდა ხისტი რეპრესიებით, პრესასა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე უმკაცრესი კონტროლით. ოკუპაციაზე საპასუხოდ, 1919 წლის მარტში კორეაში სახალხო გამოსვლები დაიწყო. ვერსალის ხელშეკრულებით დაიმედებული გამომსვლელები მოითხოვდნენ ვილსონიანურ თვითგამორკვევის უფლებას. კიმ კი სიკის ხელმძღვანელობით კორეელთა ჯგუფი ჩავიდა პარიზში, სადაც მოითხოვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ტოკიოში შეიქმნა სტუდენტური კავშირი, რომელიც მოითხოვდა კორეის დამოუკიდებლობას, ხოლო ჰავაიზე, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი კორეის დამოუკიდებლობისთვის ბევრმა მებრძოლმა იპოვა, შეიქმნა დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელსაც მომავალში კორეის პირველი პრეზიდენტი, ლი სინ მანი, ხელმძღვანელობდა. მეფე კოჯონის გარდაცვალება გახდა პროტესტის ტალღის დასაწყისი. კორეის დამოუკიდებლობის მესვეურებმა დამოუკიდებლობის გამოცხადება 1 მარტს გადაწყვიტეს - მეფის გასვენებამდე 2 დღით ადრე. (Seth, 2011)

პაგოდის პარკში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა დამოუკიდებლობისთვის დემონსტრაციებში. მიუხედავად დეკლარირებული მშვიდობიანი პროტესტისა, იაპონიის ხელისუფლებამ პროტესტები უაღრესად ხისტად ჩაახშო. მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით დაინგრა 400 ეკლესია,

553 ადამიანი მოკვდა დარბევების შედეგად, ხოლო 14000 ციხეში გადაიყვანეს მარტის მოვლენების შემდეგ. კორეელი ისტორიკოსების ციფრები მნიშვნელოვნად აღემატება ოფიციალურ სტატისტიკას - მათი მონაცემებით, დაღუპულთა რაოდენობა 70000-ს აღემატება. (Seth, 2011)

იაპონელებმა აიძულეს ყველა კორეელს გაევლო რეგისტრაცია ადგილობრივ შინტოს ტაძრებში, იმის მიუხედავად, რომ ეს რელიგია სრულიად უცხო იყო ნახევარკუნძულისთვის და განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო ადგილობრივი ქრისტიანებისთვის. კორეელები აიძულეს უარი ეთქვათ საკუთარ სახელებზე და გადასულიყვნენ იაპონიზებულ ვარიანტებზე. საზოგადოებაში, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წინაპრებს, გვარებისა და სახელების უწყვეტობას, იაპონელების ეს გადაწყვეტილება მიუღებელი და დამამცირებელი იყო. დაიხურა ყველა კორეულენოვანი გაზეთი გარდა ოფიციალურისა, სკოლებიდან განიდევნა კორეულის სწავლა, ხოლო ბავშვებს სკოლაში კორეულად საუბრისთვის სჯიდნენ. (Seth, 2011)

ამავე პერიოდში შეიქმნა კორეული ნაციონალიზმი. ადრეული კორეული ნაციონალიზმი იყოფოდა ოთხ ძირითად ჯგუფად: პირველი, კულტურული ნაციონალისტები, მოქმედებდნენ იაპონიის მთავრობის მიერ შექმნილი სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში. მათი მთავარი ფოკუსი იყო განათლება - ბევრი მათგანი იზიარებდა კორეული კულტურის სტაგნაციისა და მეორეხარისხოვნების იდეას, თუმცა მხარს უჭერდა მოდერნიზებული კორეული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იდეას. ამ ჯგუფის ერთ-ერთი მახასიათებელი ასევე იყო მათი კორეის მოუმზადებლობა - ისინი მიიჩევდნენ, რომ კორეა ჯერ არ იყო მზად დამოუკიდებლობისთვის. ეს ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობდა კორეელ მეწარმეებთან, რომლებმაც დააფინანსეს უნივერსიტეტის დაარსება. (Seth, 2011)

მეორე ჯგუფი, ჩინდანის საზოგადოება, არ მიიჩნევდა, რომ კორეული კულტურა, ისტორია ან ტრადიცია რამით ჩამოუვარდებოდა სხვა ქვეყნებს. მათი მთავარი კონცენტრაციის საგანი იყო წერა-კითხვის გავრცელება და ერთიანი კორეული ორთოგრაფიისა და გრამატიკის შექმნა, რასაც მეზობელი ჩინეთისგან განსხვავებით, მათ

თავი გაართვეს კორეული ენის ჰომოგენიზაციისა და დიალექტების არ არსებობის დახმარებით. (Seth, 2011)

მესამე ჯგუფი იყო კორეის „მწარმოებელთა მოძრაობა“. ამ მოძრაობამ გადაწყვიტა იაპონელებთან დაპირისპირება კორეული მეწარმეობის მხარდაჭერის გზითი - მიუხედავად იმისა, რომ ეს მცდელობა ჩავარდა იმის გამო, რომ იაპონური საყოფაცხოვრებო საგნების ფასის კორეულ ანალოგებზე უფრო დაბალი იყო, ამ მოძრაობამ მოახერხა მნიშვნელოვანი ნაციონალისტური მუხტის წამოწყება. (Seth, 2011)

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა მეოთხე ჯგუფი, რომელსაც გააჩნდა უამრავი განშტოება - მარქსისტული იდეებით გულანთებულმა ადამიანებმა დაიწყეს სოციალისტური და კომუნისტური კორეის შექმნაზე ფიქრი. პირველი სოციალისტური ერთეული, რომელიც კორეის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, შეიქმნა ვლადივოსტოკში, როდესაც რუსეთში რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ადგილობრივ კორეელებს მხარდაჭერის სანაცვლად შესთავაზა მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება. (Seth, 2011)

სოციალისტური უჯრედები შეიქმნა ასევე იაპონიაში, სადაც კორეელი სტუდენტები ეცნობოდნენ მარქსისა და სხვა სოციალსიტი ავტორების ტექსტებს იაპონურ თარგმანში და თავად კორეაში, სადაც ეს სტუდენტები ჩადიოდნენ და ავრცელებდნენ მარქსისტულ იდეოლოგიას. ერთადერთი, რაც მარქსისტულ დაქსაქსულ ჯგუფებს აერთანებდა, იყო მათი სურვილი, რომ კორეა ყოფილიყო დამოუკიდებელი. მათი ქმედებები, ურთიერთობები და მიზნის მიღწევის გზები რადიკალურად განსხვაებული იყო. (Seth, 2011)

კოლონიალური პერიოდი დღესაც განაპირობებს კორეისა და იაპონიის საგარეო და ბილატერალურ ურთიერთობებს. 2018 წლის 30 ოქტომბერს კორეის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნა, რომ „იაპონიის კოლონიალური მმართველობა იყო დამყარებული ძალადობრივად და, შესაბამისად, თავიდანვე არამართლზომიერი იყო“. (Kimura, 2019) ამ გადაწყვეტილებამ გააუარესა ქვეყნებს შორის ურთიერთობები, რასაც ასევე შეიძლება მოყვეს გრძელვადიანი

გაუარესება, რომელიც გამოწვეულია იაპონიის მიერ კორეის ნახევარკუნძულის კოლონიზაციის პერიოდში ჩადენილი სხვადასხვა ქმედებებით. შესაბამისად, იაპონიის მიერ კორეის ნახევარკუნძულის კოლონიზაციის საკითხი დღესაც წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებისთვის ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს, (Kimura, 2019) და, ამავდროულად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კორეის რესპუბლიკის თანამედროვე საგარეო პოლიტიკაზე. (Dudden, 2005)

1.4. ტრანზიციის პერიოდი

კორეის დამოუკიდებლობას თან მოყვა ქვეყნის ისტორიაში უდიდესი ტრაგედია - მისი გახლეჩა ორ სახელმწიფოდ. იაპონიის მიერ კორეის ოკუპაციის ბოლო წლებში ჩინეთში ჩან კაიშის რეჟიმი შეეცადა, გამოეყენებინა ქვეყნის შიგნითა და გარეთ არსებული ნაციონალისტური ჯგუფები და შეექმნა კორეის დორებითი მთავრობა. ჩან კაიშის მთავარი ამოცანა იყო დამოუკიდებელი, მეგობრული და არაკომუნისტური კორეა. (Armstrong, 2019)

ჩან კაიშის სურვილის მიუხედავად, 1943 წელს რუზველტმა და ენტონი იდენმა გადაწყვიტეს ფორმოზისა (ტაივანის) და მანჯურიის დაბრუნებ ჩინეთისთვის, ხოლო კორეა უნდა დარჩენილიყო სამი ან ოთხი ქვეყნის ერთობლივი მანდატის ქვეშ. (Seth, 2011)

ერთი წლის შემდეგ, კაიროს კონფერენციაზე, ჩერჩილმა, ჩან კაიშიმ და რუზველტმა გამოუშვეს ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც აღიარებდნენ კორეის მისწრაფებას გახდეს დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. (Seth, 2011)

თეირანის კონფერენციაზე სტალინმა მხარი დაუჭირა კორეაში მანდატის შექმნას, რომელიც 40 წელი უნდა გაგრძელებულიყო. იალტას კონფერენციაზე მანდატის ხანგრძივობა შემცირდა 20 ან 30 წლამდე, ხოლო საბოლოო ხანგრძივობა დამოკიდებული იყო ნახევარკუნძულზე არსებულ სიტუაციაზე. (Seth, 2011)

ჰიროშიმისა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ, კორეამ მალევე გამოაცხადა დამოუკიდებლობა. საბჭოთა კავშირის მიერ ნახევარკუნძულზე შესვლისა და მისი

სრულიად დაკავების შესაძლებლობის პირისპირ პრეზიდენტმა ტრუმენმა შესთავაზა ქვეყნის გაყოფა 38-ე პარალელზე. ეს დაყოფა არ ასახავდა რამე ტიპის გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ ისტორიულ გაყოფას და გახლიჩა კორეის ორი ისტორიული პროვინცია. მიუხედავად კორეის ნაციონალისტურ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებებისა, 1945 წლის 6 სექტემბერს სეულში გამოცხადდა კორეის სახალხო რესპუბლიკის შექმნის გადაწყვეტილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლი სინ მანი. მიუხედავად იმისა, რომ კორეის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჯგუფის წარმომადგენლები, ეს სტრუქტურა დიდწილად უძლური იყო, რადგანაც სამხრეთით ძალაუფლება აშშ-ის სამხედრო ძალებს, ხოლო ჩრდილოეთით - სსრკ-ის. ჩრდილოეთით სიტუაცია კიდევ უფრო მძიმე: საბჭოთა კავშირმა სასწრაფო წესით გადაასახლა რამდენიმე ასეული სსრკ-ში დაბადებული ეთნიკური კორეელი ჩრდილოეთი კორეაში, რომლებიც გახდნენ მისი დასაყრდენი ნახევარკუნძულის გახლეჩის საქმეში. ამ კორეელთა რიცხვში ასევე შედიოდა კიმ ირ სენი. საბჭოთა კავშირის მიერ ჩრდილოეთის ოკუპაცია მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით, რაშიც მათ კომუნისტური უჯრედების ლოიალობა, ენისა და რეგიონის მცოდნე მრავალი სპეციალისტი და ძლიერი პროპაგანდა ეხმარებოდა. (Seth, 2011)

ამერიკელების შემოსვლა სამხრეთ კორეაში კი პირიქით, უაღრესად ქაოტური და შეცდომებით სავსე იყო: მათ აკლდათ გეგმა, რეგიონის ცოდნა და თარჯიმნები. პირველი გადაწყვეტილება, რომელიც აშშ-ის USAMGIK (კორეის სამხედრო ადმინისტრაციამ) მიიღო იყო კორეის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის იგნორირება და იაპონელების დროინდელი გუბერნატორის გენერალ აბეს დამორჩილება იყო. კორეელების მხრიდან წინააღმდეგობის შედეგად ამერიკელები მალევე მიხვდნენ, რომ იაპონური ადმინისტრაცია და მისი მოკავშირეობა არამარტო ვერ შეინარჩუნებდა წესრიგს, არამედ პირიქით, უკმაყოფილებისა და სამხედრო ინციდენტების საფრთხეს შეიცავდა, რის გამოც მათ მალევე გააგზავნეს აბე იაპონიაში. (Seth, 2011)

ამ მოვლენების პარალელურად 1945 წლის წლის დეკემბერში აშშ, ჩინეთი, სსრკ და ბრიტანეთი შეთანხმდნენ კორეაში 4 წლიანი მანდატის დაარსების თაობაზე. კორეის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დაგმო და ამ გადაწყვეტილების დამორჩლებაზე უარი თქვა, თუმცა სსრკ-ის გავლენით კომუნისტურმა პარტიამ მალევე დაუჭირა მანდატის იდეას მხარი, ხოლო მანდატის მოწინააღმდეგეთა ხელმძღვანელი, ჟურნალისტი სონგ ჩინ უ, მალევე მოკლეს. 1946 წლის დასაწყისისთვის სამხრეთსა და ჩრდილოეთ კორეაში უკვე შეიქმნა ფუნდამენტურად განსხვავებული ადმინისტრაციული ერთეულები: ჩრდილოეთში შეიქმნა სტალინური ტიპის ცენტრალიზებული ხელისუფლება, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ადამიანები ჩაუდგნენ, ხოლო სამხრეთში დეცენტრალიზებული და ხშირად ქაოტური სტრუქტურები ჩამოყალიბდა. 1948 წლის ივლისში ჩატარებულმა არჩევნებმა დააჩქარა გახლეჩის პროცესი რაც 1948 წლის 15 აგვისტოს კორეის რესპუბლიკის შექმნით დასრულდა. (Seth, 2011)

არც სამხრეთით და არც ჩრდილოეთით რეჟიმი არ აღიარებდა ქვეყნის გახლეჩას და საკუთარ თავს ერთადერთ ლეგიტიმურ სახელმწიფოდ მიიჩნევდა მთელი კორეის ნახევარკუნძულზე, რაც საბოლოოდ გადაიზარდა კორეის ომში. (Seth, 2011)

1.5. კორეის ომი

კორეის დამოუკიდებლობას თან მოყვა ქვეყნის ისტორიაში უდიდესი ტრაგედია - მისი გახლეჩა ორ სახელმწიფოდ. კორეის ომი 25 ივნისის ინციდენტით დაიწყო, როდესაც ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებულმა ძალებმა გადალახეს 38-ე პარალელი და კორეის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი წინსვლა დაიწყეს. (Stueck, 1995)

კონფლიქტის დაწყებიდან ორ დღეში სამხრეთ კორეის დედაქალაქი აღმოჩნდა უკეთესად გაწვრთნილი და ეკიპირებული ჩრდილოელების ხელში. 27 ივნისს პრეზიდენტმა ტრუმენმა უბრაძანა გენერალ მაკ-არტურს გამოეყენებინა აშშ-ის სამხედრო ძალები მოკავშირის დასახმარებლად. (Stueck, 1995)

ტრუმენმა მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მოითხოვა კორეაში გაეროს სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნა. გაეროს უშიშროების საბჭოში ამ

პერიოდში საბჭოთა კავშირის ადგილი ვაკანტური იყო, რადგანაც საბჭოთა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა უშიშროების საბჭოს და მოითხოვდა ჩინეთის ადგილის ჩამორთმევას ჩან კაი შის მთავრობისგან და მის გადაცემას მაო ძედუნის ხელისუფლებისთვის. სამხედრო ოპერაციაში გაეროს 15 ქვეყანა მონაწილეობდა. (Stueck, 1995)

კონფლიქტის პირველი ფაზის დროს გაეროს ძალებმა მოახერხეს კონტრშტევის ინიცირება და მალევე დაიკავეს ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი. ფხენიანის დაკავების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, რადგანაც ჩრდილოეთის მხარეს კონფლიქტში ჩაერთო ჩინეთი, რომელმაც მოახერხა გაეროს ძალების დაბრუნება 38-ე პარალელზე. (Stueck, 1995)

1953 წელს გაერომ, ჩრდილოეთ კორეამ და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებით ქვეყანა გაიყო 38-ე პარალელზე, რომელზეც ასევე მოეწყო დემილიტარიზებული ზონა. (Stueck, 1995)

დემილიტარიზებული ზონის მოწყობის შედეგად კორეა გაიხლიჩა ორ ნაწილად: სამხრეთით ჩამოყალიბდა კორეის რესპუბლიკა, მდიდარი, დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფო, ხოლო ჩრდილოეთით - ღარიბი და ტოტალიტარული სახელმწიფო. (BAJPAI, 2019)

1.6. კორეის რესპუბლიკის თანამედროვე ისტორია

კორეის რესპუბლიკის თანამედროვე ისტორიის ათვლა იწყება 1948 წლის 15 აგვისტოდან, როდესაც გამოცხადდა კორეის რესპუბლიკის შექმნა. 15 აგვისტო კორეისთვის ასევე სიმბოლურ მნიშნველობას ატარებს, რადგანაც 1945 წლის 15 აგვისტოს შეწყდა კორეის იაპონური ოკუპაცია. კორეის სამხრეთ ნაწილში არჩევნებისა და კორეის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ჩრდილოეთ კორეაში არსებულმა რეჟიმმა წამოიწყო სამხედრო კამპანია სამხრეთის წინააღმდეგ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კორეის რესპუბლიკამ განიცადა ტრანსფორმაცია ომით განადგურებული ავტორიტარული ქვეყნიდან აზიის ერთ-ერთ უმდიდრეს და დემოკრატიულ სახელმწიფომდე. (Lee K. B., 1997)

1953 წლის ომის შემდეგ კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1953 გახდა ი სინ მანი. ი სინ მანი, და მის მიერ შექმნილი ლიბერალური პარტია იდგა მტკიცე ნაციონალისტურ და ანტიკომუნისტურ პოზიციებზე. ი სინ მანის მემკვიდრეობა საკამათოა: მისი ავტორიტარული და კორუმპირებული რეჟიმის მიუხედავად, მან მოახერხა ამერიკული დახმარების ეფექტიანი გამოყენება, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის შემდგომი ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზებისთვის. მან უარი თქვა იაპონიასთან ურთიერთბობების აღდგენაზე, რასაც ქვეყნისთვის ნეგატიური ეკონომიკური ეფექტი მოყვა, თუმცა ეს გადაწყვეტილება აიხსნება ყოფილ მეტროპოლიაზე მიბმისგან თავის არიდებით. მისი ანტიკომუნისტური რიტორიკის გამო ჩრდილოეთ კორეასთან რამე ტიპის მოლაპარაკებები შეუძლებელი გახდა, თუმცა მოლპარაკებების წარმართვა ისედაც შეუძლებელი იყო სსრკ-ის როლისა და ჩრდილოეთ კორეის სტრუქტურული განსხვავების გამო. ი სინ მანი გადადგა 1960 წლის 19 აპრილს, როდესაც პოლიციამ დაარბია სტუდენტური გამოსვლა. ამ დარბევის შედეგად 139 სტუდენტი დაიღუპა. (Lee K. B., 1997)

ი სინ მანის გადადგომისა და ჰავაის კუნძულებზე გაქცევის შემდეგ 1960-1961 წლებში კორეაში არსებობდა ე.წ. მეორე რესპუბლიკა, რომელმაც ვერ მოახერხა ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნება და რომლის დროს კორეულმა ვალუტამ რეკორდული ინფლაცია განიცადა. 1961 წლის მაისში სამხედრო გადატრიალების შედეგად მეორე რესპუბლიკა დაემხო. სამხედროებმა შექმნეს ეროვნული აღორძინების უმაღლესი საბჭო, რომელსაც სათავეში გენერალი პაკ ჩონგ ჰე ჩაუდგა. ეროვნული აღორძინების საბჭომ დაამყარა წესრიგი და კანონიერება, დააკავა კრიმინალური ელემენტები და მოახერხა ვალუტის სტაბილიზება. გენერალი პაკის დროს დაიწყო კორეის ეკონომიკური აღორძინება: მან უარყო ამერიკელი მრჩევლების რჩევა, იაპონური ბაზრისთვის დაწყებულიყო ბრინჯისა და ზღვის კომბოსტოს მოყვანა, რაც აღადგენდა იაპონიასა და კორეას შორის არსებულ კოლონიალური პერიოდის ეკონომიკურ ურთიერთობებს. ამის ნაცვლად მან დაიწყო ხუთწლიანი გეგმების იმპლემენტაცია, დაიწყო აქტიური ინდუსტრიალიზაცია და ხელი შეუწყო ჩებოლების - ბიზნეს კონგლომერატების შექმნა. მიუხედავად განათლებისა და ეკონომიკის სფეროებში რეფორმების, გენერალი პაკის მმართველობის ბოლო წლები ხასიათდებოდა ავტორიტარიზმის ნიშნებით. მან შემოიღო საგანგებო მდგომარეობა და

იყენებდა ჩრდილოეთ კორეასთან არსებულ პრობლემებსა და საზღვარზე მოხშირებულ ინციდენტებს საკუთარი ხელისუფლების გასამყარებლად. 1979 წლის 26 ოქტომბერს კორეის სადაზვერო სამსახურის უფროსმა კიმ ჩე კიუმ მოკლა გენერალი პაკი. გენერალ პაკის მკვლელობის შმედეგ დაიწყო „სეულის გაზაფხული“, რომელიც 1980 წლამდე გაგრძელდა. სტუდენტური დემონსტრაციების შედეგად ხელისუფლებას ჩამოშორდნენ პაკის რეჟიმთან ასოცირებული თანამდებობის პირები და პროფესორები.1980 წლის ოქტომბერში კორეამ პლებისციტის შედეგად მიიღო ახალი კონსტიტუცია, ხოლო 1981 წლის თებერალში აირჩია ახალი ეროვნული ასამბლეა. მეხუთე რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გააუქმა გენერალ პაკის დროინდელი კომენდანტის საათი, თუმცა მეხუთე რესპუბლიკა ასევე ხასიათდება ავტორიტარული ელექტორალური დემოკრატიის ნიშნებით. 1987 წლის 26 ივნისს მასობრივი სტუდენტური გამოსვლების შედეგად კორეაში დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი.1988 წელს კორეაში ჩატარდა ოლიმპიური თამაშები. ამ თამაშების ეროვნულ მნიშვნელობას დაემატა საერთაშორისო: 1980 წელს დასავლეთის მიერ მოსკოვის თამაშების ბოიკოტისა, და 1984 წლის ლოს ანჯელესის თამაშებზე საბჭოთა დელეგაციის ჩაუსვლელობის შემდეგ, 1988 წლის თამაშები იყო კორეისთვის შანსი, დაეწყო ურთიერთობების ნორმალიზაცია კომუნისტურ სახელმწიფოებთან. ამ პერიოდით თარიღდება კორეის ჩრდილოეთის პოლიტიკის პირველი ჩამოყალიბება. (Lee K. B., 1997)

ნო მუ ჰიონის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ოლიმპიური თამაშების გამოყენება კომუნისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობების დაასამყარებლად. გერმანული ოსტპოლიტიკის მსგავსად, მან საკუთარ პოლიტიკას უწოდა ნორდპოლიტიკი. 1989 წელს საბჭოთა კავშირმა და კორეის რესპუბლიკამ გაცვალეს სავაჭრო წარმომადგენლობები, ხოლო 1990 წელს დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობები.

ნორდპოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის იზოლაცია, რასაც ხელი შეიწყო საბჭოთა კავშირის დაშლამ და ამით გამოწვეულმა კრიზისმა ჩრდილოეთ კორეაში, რომელმაც შეამცირა ჩრდილოეთ კორეის პირდაპირი საფრთხე სამხრეთისთვის. პირველად საკუთარი ისტორიის მანძილზე

კორეამ დაიწყო საკუთარი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება იაპონიის გარდა რომელიმე სხვა ქვეყანასთან მიმართებაში. (Seth, 2011)

1993 წელს კორეის პრეზიდენტი გახდა კიმ იუნგ სამი. დემოკრატიული მოძრაობის აქტივისტი, რომელიც გახდა კორეის პირველი სამოქალაქო პრეზიდენტი სამი ათწლეულის შემდეგ. 1993 წლის შემდეგ კორეაში შეიცვალა რამდენიმე პრეზიდენტი, რომლებიც აგრძელებდნენ დაწყებულ დემოკრატიზაციის პროცესს და საკუთარ, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ. (Seth, 2011)

1.7. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის თანამედროვე ისტორია

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის თანამედროვე ისტორიის ათვლა იწყება 1948 წლის 9 სექტემბრიდან, როდესაც სამხრეთ კორეაში ჩატარებულ არჩევნებზე საპასუხოდ კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საკუთარი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ჩრდილოეთ კორეის პირველი ხელმძღვანელი გახდა კიმ ირ სენი. მიუხედავად UNTCOK-ისა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხებში დროებითი კომისია) და გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის რეზოლუციისა, რომელიც კორეის რესპუბლიკას ნახევარკუნძულის ერთადერთ ლეგიტიმურ ერთეულად აღიარებდა, კორეის სახალხო რესპუბლიკამ მალევე დაიწყო თავდასხმა სამხრეთ კორეაზე, რის შედეგადაც დაიწყო კორეის ომი. (Seth, 2011)

სამხრეთ კორეის ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კორეამ აირჩია თვითკმარისობაზე ორიენტირებული „ჩუჩხეს“ იდეოლოგია, რომელიც შეიცავდა საბჭოთა სტალინისეული ტოტალიტარიანიზმის მოდელს. (Seth, 2011)

1950 – 1960-იან წლებში კორეაში დამყარდა კიმ ირ სენის ერთპიროვნული მმართველობა. სამხრეთ კორეის მსგავსად, ჩრდილოეთ კორეა სრულიად იყო განადგურებული ომის შედეგად. ჩრდილოეთ კორეამ გამოაცხადა მოსახლეობის მასობრივი მობილიზაცია და 1957 წელს მოახერხა წარმოების ომამდელ ნიშნულზე ასვლა. ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა და

ჩინურმა დახმარებამ, ასევე ჩრდილოეთ კორეაში არსებულმა მინერალურმა მარაგებმა. ეკონომიკურ აღორძინებასთან ერთად კიმ ირ სენმა დაიწყო პოლიტიკური კონსოლიდაცია. 1955 წელს მან წამოიწყო წმენდა, რომელიც გრძელდებოდა მის სიკვდილამდე და რომელიც გააგრძელეს მისმა შთამომავლებმა. (Seth, 2011)

ჩრდილოეთ კორეამ წარმატებით გამოიყენა ურთიერთობების გაფუჭება ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს. კორეამ დაიკავა ნეიტრალური პოზიცია და დაიწყო ბალანსირება ჩინეთსა და სსრკ-ს შორის. (Seth, 2011)

თვითკმარისობისა და კომუნიზმის იდეოლოგიამ განაპირობა კორეის ეკონომიკის ჩაკეტილობა. მიუხედავად ომის შემდგომი რეკონსტრუქციის წარმატებისა, გრძელვადიან პერსპექტივაში ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკა არაეფექტური აღმოჩნდა. 1970-იან წლებამდე ჩრდილოეთ კორეა ინარჩუნებდა ეკონომიკურ ზრდას. სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა 80-იან წლებში, როდესაც საბჭოთა და ჩინური დახმარება მნიშვნელოვნად შემცირდა. 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად კორეის ეკონომიკა სრულიად ჩამოიშალა, რასაც 1995 წლის შიმშილი მოყვა. 1998 წლამდე ჩრდილოეთ კორეაში ვერ ხერხდებოდა კვების პრობლემის მოგვარება. 1994 წლის შემდეგ ნახევარკუნძულზე ბირთული კრიზისი დაიწყო, რომლის მოგავარებაც დღემდე საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა. (Seth, 2011)

თავი II. „ჩრდილოეთის პოლიტიკის“ ჩამოყალიბება

კორეის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ურთიერთობები დაიწყო 1989 წელს - სეულის ოლიმპიადის ჩატარების შემდეგ. ოლიმპიადა, რომელსაც კორეის ხელისუფლება უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, გენერალ პაკის ადმინისტრაციის ბოლო პერიოდში, ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიგეგმა და მიზნად ისახავდა კორეისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მიპყრობას, ეკონომიკური წარმატების ჩვენებასა და ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებთან - სსრკ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარებას. (Cho & Bairner, 2012)

2.1. კორეის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები

1980 წელს დასავლეთის მიერ მოსკოვის თამაშების ბოიკოტისა, და 1984 წლის ლოს ანჯელესის თამაშებზე საბჭოთა დელეგაციის ჩაუსვლელობის შემდეგ, 1988 წლის თამაშები იყო კორეისთვის შანსი, დაეწყო ურთიერთობების ნორმალიზაცია კომუნისტურ სახელმწიფოებთან. ამ პერიოდით თარიღდება კორეის ჩრდილოეთის პოლიტიკის პირველი ჩამოყალიბება. (სიკი, 2018)

დროის სხვადასხვა პერიოდში ტერმინი „ჩრდილოეთის პოლიტიკა“ აღნიშნავდა სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს: პირველ პერიოდში ის მოიცავდა ჩრდილოეთ კორეას, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების შედეგად, კორეის რესპუბლიკის „ჩრდილოეთის პოლიტიკა“ მოიცავს სამ რეგიონს: რუსეთის ფედერაცია, ცენტრალური აზია და კავკასია. (სიკი, 2018) ამავდროულად, აღნიშნული სამი რეგიონიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორ რეგიონს - ცენტრალურ აზიასა, სადაც ხორციელდება მრავალი ენერგეტიკული პროექტი და რუსეთის ფედერაციას, რომელთანაც კორეას განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესები აკავშირებს. (Forum, 2018)

2.1. კორეის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ და კორეის რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობები 1991 წელს დაამყარეს. 2001 წელს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ჩავიდა სეულში, ხოლო 2004 წლის სექტემბერში პრეზიდენტი ნო მუ ჰიონი ჩავიდა მოსკოვში. როგორც კორეის რესპუბლიკა, ასევე რუსეთის ფედერაცია მონაწილეობს ექვსმხრივ მოლაპარაკებებში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის შეზღუდვის მიზნით. 2013 წლის 13 ნოემბერს სეულში ჩატარდა რუსეთ-კორეის სამიტი, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით. (Daily, 2004)

კორეის საგარეო პოლიტიკა რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში ეფუძნება ორ დოქტრინას: პირველი, ეს არის „საშუალო ზომის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა“ და მეორე „ახალი ჩრდილოეთის პოლიტიკა“. (Policy, 2018)

2.1. კორეის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები

აზიის რეგიონში რუსეთის ფედერაციის ინტერესები მოცემულია რამდენიმე ჩარჩო დოკუმენტში: 2009 წლის მაისში მიღებული რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია 2020 წლამდე, 2010 წლის თებერვალში მიღებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა, ვლადიმირ პუტინის საპროგრამა სტატია რუსეთი და ცვლადი სამყარო, ასევე ევრაზიული სივრცის ახალი ინტეგრაცია და რუსული სახელმწიფოს უსაფრთხოება. ამ დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გამოიყოს აზიის რეგიონში რუსეთის სტრატეგიული ამოცანები და ხედვები. (Policy, 2018)

1983 წლიდან დაიწყო კორეის ჩრდილოეთის პოლიტიკის ევოლუციის მეორე ეტაპი. 1985 წელს, სსრკ-ში გორბაჩოვის ლიბერალიზაციის დაწყებასთან ერთად დაიწყო სსრკ-სა და კორეის რესპუბლიკას შორის ურთიერთობების სტაბილიზაციის პროცესი: ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირმა მიიღო მონაწილეობა სეულის ოლიმპიურ თამაშებში, ხოლო 1990 წელს სან-ფრანცისკოში ჩატარდა კორეისა და სსრკ-ის პირველი პირების სამიტი. 1991 წელს გორბაჩოვი ჩადის კუნძულ ჩეჯუზე, სადაც მხარეები გამოხატავენ მზადყოფნს „სსრკ-სა და კორეას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის დეკლარაციის“ ხელმოსაწერად. (სიკი, 2018)

საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი ბიძგი მისცა კორეა-რუსეთის ფედერაციის ურთიერთობებს: 1992 წელს, სეულში ბორის ელცინის ვიზიტის დროს ხელი მოეწერა 15 მუხლისგან შემდგარ „ურთიერთობების საფუძვლის დოკუმენტს“, რასაც ასევე მოყვა „სამხედრო თანამშრომლობის შესახებ“ 27 მუხლიანი პროტოკოლი და კორეის რესპუბლიკის მხრიდან 472 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფა რუსეთის ფედრაციისთვის. 1995 წელს რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის კორეაში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებში ქეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ჩრდილოეთ კორეაში პირველი ბირთვული კრიზისა და ჩრდილოეთის მხრიდან საფრთხის გაზრდასთან ერთად რუსეთ-კორეის ურთიერთობების სტაგნაცია და გაუარესება დაიწყო, რაც გაგრძელდა კიმ დე ჯუნის ადმინისტრაციის დროს და ჩრდილოეთის ქვეყნებთან კორეის ურთიერთობების ევოლუციის თითქმის მთელი მესამე ეტაპის

განმვალობაში. 1998 წელს რუსეთის ფედერაციამ პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა კორეელი დიპლომატი, რასაც მოყვა ანალოგიური ქმედება კორეის მხრიდან. (სიკი, 2018)

მიუხედავად კიმ დე ჯუნის მმართველობის ბოლოს ურთიერთობების გაუმჯობესებისა და ჩრდილოეთ კორეის ჩართულობის მცდელობისა, რუსეთსა და კორეის რესპუბლიკას შორის ურთიერთობები გაუმჯობესდა პრეზიდენტ ნო მუ ჰიონის ადმინისტრაციის დროს. 2003 წელს ნო მუ ჰიონის ადმინისტრაციამ გამოსცა ენერგოუსაფრთხოების დოკუმენტი, რომელშიც განიხილავდა ჩრდილოეთ კორეასთან ერთად ერთობლიცი ენერგოქსელის კომპონენტის შექმნას. პრეზიდენტ ლი მიონ ბაკის ადმინისტრაცია აქტიურად უჭერდა მხარს „სამი აბრეშუმის გზის“ კონცეფციას, რომელიც მოიცავდა „რკინის აბრეშუმის გზას“ (ტრანსციმბირული და ტრანსკორეული მაგისტრალის გაერთიანებას), „ენერგეტიკლი აბრეშუმის გზა“ (მაგისტრალური გაზ- და ნავთობსადენების გაერთიანება) და „მწვანე აბრეშუმის გზა“ (თანამშრომლობა სოფლის მეურნების, მეცხოველეობისა და მეტყეობის სფეროებში), თუმცა ეს კონცეფცია ვერ შესრულდა ჩრდილოეთ კორეაში მეორე ბირთვული კრიზისის დაწყების გამო. (სიკი, 2018)

ჩრდილოეთ კორეის მხრიდან საფრთხის მომატებასთან ერთად შემცირდა კორეის რესპუბლიკის მზაობა ჩრდილოეთის მიმართულებით: ჩრდილოეთ კორეის მიერ 2010 წელს კორვეტ ჩონანის ჩაძირვის შემდეგ კორეამ შეამცირა საკუთარი დიპლომატიური და პოლიტიკური ჩართულობა ჩრდილოეთის მიმართულებით, ასევე გააუქმა დაგეგმილი ერთოლივი პროექტები ენერგეტიკის სფეროში. 2015 წლამდე კორეა არ მონაწილეობდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სასანქციო რეჟიმში, რომელიც რუსეთის ფედერაციას დაუწესდა ყირიმის ანექსიის შემდეგ. (სიკი, 2018)

კორეაში ახალი პრეზიდენტის - მუნ ჯე ინის არჩევისა და ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობების სტაბილიზაციის შემდეგ, კორეის რესპუბლიკამ გამოაცხადა ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკის იმპელემნტაციის შესახებ, რომელიც სამ ძირითად რეგიონზე: რუსეთის ფედერაცია, ცენტრალური აზია და კავკასიაზე ვრცელდება. (სიკი, 2018)

2.1. კორეის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 30 წლისთავზე, რუსეთის ფედერაციასა და კორეის რესპუბლიკას შორის არარსებული დიპლომატიური ურთიერთობები გადაიქცა მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორობად. პრეზიდენტ მუნ ჯე ინის არჩევამდე, რუსეთის ფედერაცია კორეის მეშვიდე სავაჭრო პარტნიორი იყო, 15 მილიარდ დოლარიანი ბრუნვით, რომლის გაორმეგა კორეის რესპუბლიკის ერთ-ერთ ამოცანაა 2020 წლისთვის. მუნ ჯე ინის ადმინისტრაცია ასევე ცდილობს ჩაანაცვლოს აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპის მიერ ეჭვქვეშ დაყენებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ამერიკასთან ანალოგიური შეთანხმებით რუსეთთან. (Forum, 2018)

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შორეული აღმოსავლეთი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე განუვითარებელი რეგიონია, როგორც რუსეთი, ასევე მისი მეზეობლები (მათ შორის სამხრეთ კორეა) ხედავენ ამ რეგიონის პოტნეციალს და სრულიად შეესაბამება „აღმოსავლეთით შეტრიალების“ რუსეთის კონცეფციას. (Forum, 2018)

2017 წელს სეულში ვიზიტის დროს თავიდან წამოიჭრა რასონ-ხასანის რკინიგზის პროექტი, ხოლო სონგ იონგ-გილმა, პრეზიდენტ მუნის სპეციალურმა წარმოამდგენელმა რუსეთის საკითხებში, მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა რუსეთ-კსდრ-კორეის რესპუბლიკის სავაჭრო პროექტებს. (Forum, 2018)

2017 წელს აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე პრეზიდენტმა მუნმა დაანონსა კორეის რესპუბლიკის ახალი ჩრდილოეთის პოლიტიკა, რომელიც მან დაახასიათა, როგორც „9 ხიდის მშენებლობის პოლიტიკა“. ეს პოლიტიკა მოციავს როგორც რეგიონალურ პროექტებს, ასევე კორეის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ კორეას შორის შესაძლო თანამშრომლობას არქტიკის რეგიონში. (Forum, 2018)

როგორც კორეის რესპუბლიკის, ასევე რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინტერესია ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაზრდის გზით რეგიონალური განვითარების მიღწევა. ეს თეზისი განსაკუთრებით მართალია რუსეთისთვის, რომლისთვაც შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ეკონომიკური

განვითარება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კორეული ინვესტიციები რუსეთში განიხილება როგორც რეგიონში ყველაზე მსხვილი პარტნიორის - ჩინეთის დაბალანსების მცდელობა. (Forum, 2018)

2.1. კორეის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები

კორეის ჩრდილოეთის პოლიტიკის ფორმირება და მისი შეფასება (სიკი, 2018)				
წ ლები	პერიოდი	საერთაშორისო მდგომარეობა	ძირითადი პოლიტიკური მიმართულება	შეფასება
19 73 - 1983	ჩამოყალიბების პერიოდი (გენერალ პაკის პრეზიდენტობის პერიოდი)	• ჩინეთსა და აშშ-ის შორის ურთიერთობების დამყარება • აშშ-ის გააქტიურება აზიაში • კორეის რესპუბლიკიდან ამერიკული კონტინგენტის გაყვანის შესაძლებლობის განხილვის დაწყება	• უსაფრთხოების შექმნის დამოუკიდებელი მცდლეობები (კორეის რესპუბლიკის ბირთვული პროგრამა) • 1973 წლის 23 ივნისის დეკლარაცია და ჩრდილოეთის დიპლომატია	• პოლიტიკური აუცილებლობის გაქრობა აშშ-კორეის ალიანსის განმტკიცების გამო • კორეის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვის შეზღუდვა

2.1. კორეის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები

1985 - 1998	რეალიზების პირველი პერიოდი	• გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დაწყება • პოსტ-ცივი ომის პერიოდი • სოციალისტური ქვეყნებისა და პოსტსოციალისტური რეგიონების გახსნა	• ჩრდილოეთის პოლიტიკის გაშვება • სსრკ-სა და ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება • ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის გაწევრიანება გაეროში • საბაზისო ინტერკორეული ხელშეკრულების ხელმოწერა	• ჩრდილოეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირის დამყარება • ჩრდილოეთ კორეის პირველი ბირთვული კრიზისი
1998 - 2008	განვითარების შესაძლებლობების ძიების პერიოდი	• ლიბერალურ-დემოკრატიული წყობილებისა და აშშ-ის დომინირების	• „მზიანი სითბოს“ პოლიტიკა • რკინის „აბრეშუმის გზის“ ინიციატივა	• ჩრდილოეთის პოლიტიკის ახალი გზების ძიება • ბირთვული კრიზისი

		გავრცელება • ომი ტერორიზმის წინააღმდეგ	• დაბალანსების თეორია • ჩრდილოეთკორეის ბირთვული კრიზისის აღმოფხვრის მცდელობები	
2008 - 2017	დაფარული შესაძლებლობების ძიების პერიოდი	• ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აღზევება • აშშ-ის აზიური პოლიტიკის განახლება	• დენუკლეარიზაციის ინიციატივა • ახალი „აბრეშუმის გზის“ ინიციატივა • სამმხრივი გაზსადენი რუსეთის ფედერაცია - კსდრ - კორეის რესპუბლიკა • გაერთიანების დრეზდენის დოქტრინა	• ბირთვული კრიზისის გაღრმავება • კონფრონტაციის ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბება

2.2. კორეის რესპუბლიკისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ურთიერთობები

2.2.1. დიასპორა

ცენტრალური აზიისა და კორეის რესპუბლიკის ურთიერთობები ჩრდილოეთის საგარეო პოლიტიკის კუთხით ეფუძნება სამ ძირითად საყრდენს: პირველი არის კორეის რესპუბლიკის უსაფრთხოების ინტერესი, რომელიც ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიკაციასა და მათი მიღების ფასის შემცირებაში გამოიხატება; მეორე - ცენტრალური აზიის ქვეყნების სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი სატრანსპორტ არტერიის და მესამე - ცენტრალური აზიის ქვეყნებში მცხოვრები მრავალრიცხოვანი კორეული დიასპორა. ცენტრალური აზიის ქვეყნებთან აქტიური ურთიერთობები დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება კორეის რესპუბლიკამ დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად. (ჭუნი, 2018)

ყაზახეთში არსებულმა კორეულმა დიასპორამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ურთიერთობების დაწყებაში. (ჭუნი, 2018)

კორეის ოკუპაციის შედეგად რუსულ პრიმორიეს რეგიონში ცხოვრობდა 200 000-მდე ეთნიკური კორეელი.1937 წლის სოვნარკომის დადგენილებით 172 ათასი კორეელი გადაასახლეს უზბეკეთისა და ყაზახეთის საბჭოთა რესპუბლიკებში „შორეულ აღმოსავლეთში ანტისაბჭოთა იაპონური შპიონაჟის აღმოფხვრის“ მიზნით.

	1926 წლის აღწერა	1939 წლის აღწერა	1959 წლის აღწერა	1970 წლის აღწერა	1979 წლის აღწერა	1989 წლის აღწერა
სსრკ სულ	86 999	↗ 182 339	↗ 313 735	↗ 357 507	↗ 388 926	↗ 4 38 650
ჩაშლილი						

2.2.1. დიასპორა

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	86 854	↘ 11 462	↗ 91 445	↗ 101 369	↘ 97 649	↗ 1 07 051
უკრაინის სსრ	10 4	↗ 845	↗ 1 341	↗ 4 480	↗ 6 061	↗ 8 669
ბელარუსის სსრ	2	↗ 15	↗ 115	↗ 277	↗ 478	↗ 6 38
მოლდოვის სსრ	—	—	↗ 26	↗ 38	↗ 212	↗ 2 69
ყაზახეთის სსრ	—	↗ 96 453	↘ 74 019	↗ 78 078	↗ 91 984	↗ 1 03 315
ყირგიზეთის სსრ	—	↗ 508	↗ 3 622	↗ 9 404	↗ 14 481	↗ 1 8 355
ტაჯიკეთის სსრ	—	43	↗ 2 365	↗ 8 490	↗ 11 179	↗ 1 3 431
თურქმენეთის სსრ	-	↗ 40	↗ 1 919	↗ 3 493	↘ 3 105	↘ 2 848
უზბეკეთის სსრ	30	↗ 72 944	↗ 138 453	↗ 151 058	↗ 163 062	↗ 1 83 140
ამიერკავკასიის	9	—	—	—	—	—

2.2.1. დიასპორა

სსრ						
აზერბაიჯანის სსრ	—	↗ 14	↗ 90	↗ 139	↘ 130	↘ 9 4
სომხეთის სსრ	—	↗ 4	↗ 34	↗ 45	↘ 30	↘ 2 9
საქართველოს სსრ	—	↗ 11	↗ 115	↗ 231	↘ 129	↗ 2 42
ლატვიის სსრ	—	—	↗ 49	↗ 166	↗ 183	↗ 2 48
ლიტვის სსრ	—	—	↗ 29	↗ 75	↗ 140	↘ 1 19
ესტონეთის სსრ	—	—	↗ 40	↗ 96	↗ 103	↗ 2 02

ცენტრალური აზიისა და. კორეის რესპუბლიკის თანამედროვე ურთიერთობები ეფუძნება კორეის ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკის დოქტრინას. კორეის რესპუბლიკისთვის ცენტრალური აზიის ქვეყნები არის ახალი ასათვისებელი ბაზარი და ენერგოუსაფრთხოებისა და დივერსიფიკაციის წყარო. ყოველწლიური ტვირთბრუნვა ქვეყნებს შორის იზრდება, ხოლო ცენტრალურ აზიაში არსებული დიასპორა ხელს უწყობს კულტურული კავშირების დამყარებასა და გაძლიერებას. (ჭუნი, 2018)

კორეის რესპუბლიკის ქმედებები სრულიად ჯდება რეალიზმის ჩარჩოში: კორეის ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია ახალი ბაზრების აღმოჩენა, რასაც ემატება კორეის მეორე ინტერესი - ენერგოუსაფრთხოების დივერსიფიკაცია და

ენერგორესურსების სხვადასახვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გზების მოძება. (ჭუნი, 2018)

2.2.1. ეკონომიკური პროექტები

კორეის რესპუბლიკასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის მთავარი თანამშრომლობის სფეროებია: ავტოინდუსტრია, გემთმშენებლობა და ტექსტილი. ჩრდილოეთის საპრეზიდენტო კომიტეტის ხედვის დოკუმენტში ასევე ჩამოყალიბებულია კორეის საგარეო პოლიტიკის ორი მთავარი მიზანი: თანამშრომლობის შედეგად ორმხრივი სარგებელი და კორეისადმი, როოგრც „საშუალო ზომის სახელმწიფოსადმი“ დადებითი დამოკიდებულების შექმნა. (Policy, 2018)

ამავდროულად, კორეის ინტეგრაციული გეგმა გულისხმობს ასევე თანამშრომლობას რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან და მათ ინიციატივებზე დაყრდნობით საკუთარი მიზნების მიღწევას: რუსეთის შემთხვევაში საუბარია ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან და აღმოსავლურ პოლიტიკასთან თანამშრომლობაზე, ჩინეთთან - კორეული პროექტების ინტეგრაციას ერთი სარტყელი, ერთი გზის პროექტში, მონღოლეთის შემთხვევაში - მონღოლეთი-ჩინეთი-რუსეთი ეკონომიკური კორიდორის პროგრამა და ყაზახეთის შემთხვევაში „ნურლი ჟოლის“ სტრატეგასთან ინტეგრაციაზე. (Policy, 2018)

ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში „ჩრდილოეთის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ მთავარი ამოცანა მოიცავს უკვე არსებულ ინტეგრაციულ პროექტებში კორეის ჩართვას, ჩრდილოეთ კორეის ინტეგრაციას ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებსა და კორეული კომპანიების ინტერესების წინ წაწევას დამატებითი დოვლათის მოპოვების მიზნით. (Policy, 2018)

2009 წლიდან კორეის რესპუბლიკის ინვესტიციები ცენტრალურ აზიაში ყოველ წლიურად იზრდებოდა. 2009 წელს თურქმენეთის გალკუნუშის გაზის დესულფერიზაციის ნაგებობაში კორეამ ჩადო 13 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია. რამდენიმე წელიწადში, 2012 წელს, სურგილის გაზის პროექტში - 39 მილიონი. 2013 წელს თურქმენეთსა და უზბეკეთში ტალიმარჯანისა და კიანლუ ნავთობქიმიკატების

პროექტებში ჩაიდო 9.4 და 30 მილიონი აშშ დოლარი. 2014 წელს ყაზახეთში კარაბატანისა და თენგიზის ნავთობის ველის გაფართოებაში ჩაიდო 3 და 25 მილიონი. 2018 წელს უზბეკეთსა და ყაზახეთში ნავოისა და ალმატის რკალურ გზაში ჩაიდო 5.4 და 7.3 მილიონი აშშ დოლარი. (Policy, 2018)

ცენტრალურ აზიაში კორეის რესპუბლიკა ასევე აქტიურად არის ჩართული ჰუმანიტარულ პროექტებში. ცენტრალურ აზიაში კორეის რესპუბლიკის სამი სააგენტო და პროგრამა მოქმედებს: EDCF, KOICA და KSP. (Policy, 2018)

უზბეკეთში EDCF-ის მიერ განხორციელდა 11 პროექტი, მათ შორის კორეის დახმარებით განახლდა უზბეკეთის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ჩაიდო მნიშვნელვოანი ინვესტიციები განათლებასა და ჯანმრთელოვაში. ყირგიზეთსა და ყაზახეთში კორეის დახმარებით განხორციელდა კომუნიკაციური საშუალებების მოდერნიზაცია. (Policy, 2018)

კორეისა და ცენტრალური აზიის ქეყნების ურთიერთობა, კორეის რესპუბლიკის ჰუმანიტარული ჩართულობის მიუხედავად, ცალსახად შეესაბამება კორეის სტრატეგიულ ამოცანებსა და ინტერესებს: ცენტრალური აზიის ქვეყნებში ახალ სავაჭრო ბაზრებზე კორეული კომპანიებისადმი დადებითი დამოკიდებულების შექმნა და ერთობლივ პროექტებში ჩრდილოეთ კორეის ჩართულობა, რაც შეამცირებს მისი მხრიდან ეგიზსტენციალურ საფრთხეს კორეის რესპუბლიკისთვის.

2.3. კორეის რესპუბლიკისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები

კავკასიის რეგიონი კორეის საგარეო პოლიტიკისთვის 1990-იან და ადრეულ 2000-იან წლებში ნაკლებად პრიორიტეტული იყო. ერთადერთი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც კავკასიის რეგიონი მოხიხსენიება ჩრდილოეთის პოლიტიკის ფარგლებში, არის 2018 წლის ჩრდილოეთის საპრეზიდენტო კომიტეტის ანგარიში, რომელშიც კავკასიის რეგიონის მნიშნველოვან სატრანზიტო ფუნქციაზე არის საუბარი. ამ დოკუმენტშიც კი, კავკასიის რეგიონი. განიხილება მხოლოდ ცენტრალური აზიის რეგიონის კონტექსტში, როგორც ჩინუერი ინტეგრაციული პროექტის - ერთი სარტყელი, ერთი გზა - ალტერნატიული მარშრუტი. (Policy, 2018)

2.3. კორეის რესპუბლიკისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები

კორეის რესპუბლიკის პირველი დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, რომელიც ასევე საქართველოს ფარავდა, ხოლო სომხეთს - მოსკოვის წარმომადგენლობა. საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 14 დეკემბერს. საქართველოს პირველი ელჩი კორეის რესპუბლიკაში იყო ბ-ნი რევაზ ბეშიძე (2010 - 2011) რეზიდენციით ქალაქ ტოკიოში. საქართველოში კორეის რესპუბლიკის საელჩო გაიხსნა 2015 წელს. წარმომაგდგენლობის გახსნამდე საქართველოს ფარავდა კორეის დიპლომატიური წარმომადგენლობა მოსკოვში (2006 წლამდე), კიევში (2011 წლამდე) და ბაქოში. მიუხედავად თბილისში დიპლომატიური წარმომადგენლობის არსებობისა, მას არ გააჩნია საელჩოს სტატუსი და ბაქოში მდებარე კორეის რესპუბლიკის სრულუფლებიანი საელჩოს ნაწილად მოიაზრება. (სამინისტრო, 2019)

2016 წლის თებერვალში საქართველოში ვიზიტით ჩამოვიდა კორეის პარლამენტის სპიკერი ჩანგ უი-ჰვა. (სამინისტრო, 2019)

ერთადერთი მსხვილი პროექტი, რომელსაც საქართველოში ახორციელებს კორეული კომპანია, არის ნენსკრას ჰესის პროექტი, რომელზეც მუშაობს კორპორაცია K-Water. (ჰესი, 2019) ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში სტრატეგიული მნიშვნელობის ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის - ნენსკრა ჰესის მშენებლობას გულისხმობს. ოფიციალური საიტის თანახმად, „ნენსკრა ჰიდრო“ K-Water-ისა და სს „საპარტნიორო ფონდის“ თანამშრომლობის შედეგად 2015 წელს შეიქმნა. პროექტის მთავარი მიზანი არის ზამთრის თვეებში ელექტროენერგიის დეფიციტს აღმოფხვრაა. (ჰესი, 2019)

ჰიდროელექტროსადგური ე.წ. BOT (Build-Operate-Transfer) სქემით შენდება, რომელიც ჰესის ექსპლუატაციაში შესვლიდან 36 წელიწადში მის საქართველოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოცემას გულისხმობს. (ჰესი, 2019) ამავდროულად, მთელი რიგი გარემოს დაცვითი ჯგუფები და. ადგილობრივი მოსახლეობა ნენსკრას ჰესის მშენებლობას აპროტესტებენ. (მეფარიშვილი, 15)

კავკასიის რეგიონში ყველაზე აქტიური დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთერთობები კორეის რესპუბლიკას აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან. დიპლომატიური ურთიერთობები ქვეყნებს შორის 1992 წელს გაფორმდა, რასაც 2011 წელს ბაქოში კორეის საელჩოს გახსნა მოყვა.

თავი III. ჩრდილოეთის პოლიტიკის ევოლუცია

კორეის რესპუბლიკის ჩრდილოეთის პოლიტიკა არის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ერთობლიობა, რომელსაც კორეის რესპუბლიკა ამყარებს 38-ე პარალელეის ჩრდილოეთით არსებულ ქვეყნებთან. გარდა პირდაპირი ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლისა, ჩრდილოეთის პოლიტიკის თანმხლები მიზანი ასევე არის ჩრდილოეთ კორეის ინტეგრაცია საერთო კორეულ პროექტებში.

ჩრდილოეთის პოლიტიკის დასაწყისად კორეაში რესპუბლიკაში მიჩნეულია 1973 წლის 23 ივნისი, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოსცა „საგარეო ურთიერთობების დეკლარაცია“. დეკლარაცია არეგულირებდა კომუნისტურ ქვეყნებთან პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ საკითხებს, ასევე მოიცავდა კორეის გაერთიანებისა და ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობების საკითხებს. დოკუმენტის ავტორები პირდაპირ ავლებდნენ პარალელს გერმანიაში ჰალშტაინისა და ე.წ. ოსტპოლიტიკთან და მიიჩნევდნენ, რომ მის ადაპტაციას ახდენდნენ კორეის პირობებზე.

კორეის რესპუბლიკის ჩრდილოეთის პოლიტიკამ ხუთეტაპიანი ევოლუცია განიცადა.

პირველი ეტაპი (1973 – 1983) არის „ჩასახვის“ პერიოდი, როდესაც კორეის რესპუბლიკამ მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი ჩრდილოეთის პოლიტიკის შექმნის თაობაზე. ჩასახვის პერიოდში ჩრდილოეთის ქვეყნებთან აქტიური თანამსრომლობა შეუძლებელი იყო: საბჭოთა კავშირი არ აღიარებდა კორეის რესპუბლიკას, როოგრც ლეგიტიმურ სახელმწიფოს, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კორეის ურთიერთობები გართულებული იყო კორეის ომის შედეგად.

დამატებითი პრობლემა იყო გეოგრაფიული ფაქტორი - ჩრდილოეთის ქვეყნებთან დაკავშირება სამხრეთ კორეას მხოლოდ ჩრდილოეთის ტერიტორიის გავლით შეეძლო, ხოლო კიმ ირ სენის მმართველობის დროს კორეათშორისი ურთიერთობების დაძაბულობისა და ერთმანეთის არ აღიარების პრინციპის არსებობის გამო საერთო პროექტების განხორციელება წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო.

ჩრდილოეთის პოლიტიკის მეორე ეტაპი (1985 – 1998) დაემთხვა საბჭოთა კავშირის დაშლას, ლიბერალიზაციას, ფუკუიამასეული „ისტორიის დასასრულის“ მოლოდინებსა და ჩრდილოეთ კორეის პრობლემის მოგვარების იმედებს.

1983 წლის 29 ივნისს კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი ბომ სოკმა ეროვნული უსაფრთხოების უნივერსიტეტში გამოსვლისას პირველად გამოიყენა ტერმინი *ჩრდილოეთის პოლიტიკა.* ამ პერიოდში ასევე წარმოიშვა ჩრდილოეთის სამეულის იდეა - სსრკ, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სამრეთის სამეული - იაპონია, აშშ და კორეის რესპუბლიკა. სსრკ-ში ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლასთან ერთად კორეის რესპუბლიკამ გააქტიურა საკუთარი პოლიტიკა ჩრდილოეთის მიმართულებით. 1985 წელს, საბჭოთა კავშირში გორბაჩოვის ხელისუფლების დამყარებასთან ერთად, დაიწყო ჩრდილოეთ პოლიტიკის მეორე ეტაპი: ამ პერიოდში კორეის რესპუბლიკამ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთთან, სსრკ-სთან და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან, სამხრეთ და ჩრდილოეთი კორეა გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი.

1989 წლის კორეის სამეცნიერო საზოგადოების კომიუნიკე განმარტავდა ჩრდილოეთის პოლიტიკას, როგორც *„კომუნისტურ სახელმწიფოებთან ეკონომიკური სარგებლის შექმნის, კორეათშორისი ურთიერთობების განვითარების, კომუნისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზაციისა და კორეის გაერთიანების მიზნით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებსი გასაუმჯობესებლად ჩატარებული დიპლომატიური და საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების ერთობლიობა“.*

საბჭოთა კავშირის დაშლამ მალევე გამოიწვია ჩრდილოეთის პოლიტიკის პირვანდელი ვარიანტის ცვლილება. კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ჩრდილოეთის მიმართ თავდაპირველად მიზნად ისახავდა კომუნისტურ და სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობების ნორმალიზებას, საბჭოთა კავშირის დაშლამ და ჩრდილოეთ კორეის მხრიდან საფრთხის შემცირებამ კი კორეის საგარეო პოლიტიკა სრულიად ახალი, ინტეგრაციული, ამოცანების წინაშე დააყენა. 1990-იანი წლების დასაწყისიდან კორეის პირველ ბირთვულ კრიზისამდე, კორეის რესპუბლიკა აქტიურად მუშაობდა ინტეგრაციული და საერთოკორეული პროექტების მიმართულებით, ამ პერიოდში შეიქმნა საერთო ენერგეტიკული ქსელის იდეა, რომელიც გულისხმობდა კორეის, რუსეთის ფედერაციისა და ცენტრალური აზიის ელექტრონული ქსელების გაერთიანებას.

ამავე პერიოდში ჩინეთთან ურთიერთობები გამოეყო ჩრდილოეთის პოლიტიკის სფეროს და დამოუკიდებელ სტრატეგიულ ჩარჩოში გაფორმდა.

მესამე ეტაპი (1998 – 2008) რომელიც დაიწყო კიმ დე ჯუნის გაპრეზიდენტებასთან ერთად, თითქმის სრულად კონცენტრირებული იყო მხოლოდ ჩრდილოეთ კორეაზე, რაც დიდწილად აიხსნება კორეის ბირთვული კრიზისის შედეგებით. ეს პერიოდი დაემთხვა კორეის პირველი ბირთვული კრიზისის შედეგად ჩრდილოეთ კორეის საფრთხის გაზრდას, რამაც შეზღუდა კორეის პოლიტიკა ჩრდილოეთის ქვეყნების მიმართულებით.

მეოთხე ეტაპი (2008 - 2017) დაიწყო პრეზიდენტ ლი მიონ ბაკის ადმინისტრაციასთან ერთად და გაგრძელდა პრეზიდენტ პაკ ინ ჰეს ადმინისტრაციის დროს. ამ პერიოდში გაჩნდა „ევრაზიული კონცეფცია“, რომელიც მიზნად ისახავდა ჩრდილოეთის ქვეყნების გავლით კორეის დაკავშირებას ევროპასთან.

საბოლოო, თანამედროვე, მეხუთე ეტაპი პრეზიდენტ მუნ ჯე ინის ადმინისტრაციასთან ერთად დაიწყო. მუნ ჯე ინმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი ჩრდილოეთის პოლიტიკის შემუშავების შესახებ, რომელიც სამ ძირითად რეგიონზე აკეთებს აქცენტს: რუსეთის ფედერაცია, ცენტრალური აზია და კავკასია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის პოლიტიკის მთავარი მიზანი არის ჩრდილოეთ კორეის ინტეგრაცია და საერთო ეკონომიკური პროექტების განხორციელება, სამხრეთ კორეისთვის ინტერესს ასევე წარმოადგენს რუსეთისა და ცენტრალური აზიიდან იაფი ენერგორესურსების შემოტანა.

კორეის პოლიტიკა ჩრდილოეთის მიმართულებით პირდაპირ კავშირშია ჩრდილოეთ კორეის საფრთხესთან: ამ ჰიპოთეზას ადასტურებს როგორც პირველი ეტაპის ჩრდილოეთის პოლიტიკის გააქტიურება, ასევე ჩავარდნები, რომელიც ჩრდილოეთის პოლიტიკას ჰქონდა კორეის პირველი და მეორე ბირთვული კრიზისების დროს, როდესაც კორეის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა „იკეტებოდა“ და მხოლოდ ჩრდილოეთ კორეის ინტეგრაციასა და მისგან მომავალი საფრთხის ნეიტრალიზაციაზე იყო გადართული. ფანმუნჯონის დეკლარაციის შემდეგ, როდესაც ჩრდილოეთ კორეის მხრიდან სამხრეთ კორეისთვის საფრთხე შემცირდა, კორეის რესპუბლიკამ შექმნა ჩრდილოეთის ქვეყნების საპრეზიდენტო კომიტეტი და ჩამოყალიბა ჩრდილოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ახალი პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში თანამშრომლობას გულისხმობდა, მათ შორის ცენტრალური აზიის ქვეყნებში ჰიდროელექტროსადგურების, ნავთობსადენებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობას გულისხმობდა.

3.2. ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკა

2017 წელს პრეზიდენტ მუნ ჯე ინის ადმინისტრატიამ მიიღო გადაწყვეტილება ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკის შემუშავების შესახებ. ეს პოლიტიკა ნაწილობრივ ეფუძნებოდა ჩრდილოეთის პოლიტიკის ევოლუციის მეორე ეტაპის გამოცდილებას.

ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკის ფარგლებში კორეაში პირველად შეიქმნა საპრეზიდენტო კომიტეტი, რომლის ამოცანა ჩრდილოეთის მიმართულებით განხორციელებული და განსახორციელებელი ქმედებების კოორდინირება არის. კომიტეტმა ჩამოაყალიბა ჩრდილოეთის პოლიტიკის ახალი განმარტება და მიზანი: „ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიისა და ევრაზიის მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუვნელყოფა ჩრდილოეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გზით“.

ახალი ჩრდილოეთის პოლიტიკა, მისი წინამორბედის მსგავსად, ხაზს უსვამს ჩრდილოეთ კორეის ინტეგრაციის აუცილებლობას. ამავდროულად, ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის შედეგად მყარდება ჰიპოთეზა, რომ კორეის გააქტიურება ჩრდილოეთის მიმართულებით პირდაპირკავშირშია ჩრდილოეთ კორეის მხრიდან საფრთხის შემცირებასთან - ჩრდილოეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საპრეზიდენტო კომიტეტის ოფიციალურ ანგარიშში პირდაპირ ხაზგასმულია ინტერ-კორეული სამიტის შედეგად მიღებული ფანმუნჯონის დეკლარიიცისა და სინგაპურის სამიტის როლი ჩრდილოეთის მიმართულებით ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით. ამავე ანგარიშში მოცემულია ქვეყნების სია, რომელსაც კორეული სახელმწიფო მოიაზრებს ჩრდილოეთის მიმართულების ქვეყნებად: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი, უზბექეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა და მონღოლეთი ამ ქვეყნებიდან ჩრდილოეთის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებად გამოყოფილია ცენტრალური აზია და რუსეთის ფედერაცია. (ჭუნი, 2018)

კორეის პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში ეფუძნება კკლასიკური რეალიზმისთვის დამახასიათებელ ეროვნული ინტერესების ცენაბს: ცენტრალური აზია კორეისთვის არის სავაჭრო კარიბჭე და, ამავდროულად, ენერგორესურსების მნიშნველოვანი მიმწოდებელი, რამაც შეიძლება უზრუნველყოს კორეის ენერგოუსაფრთხოება. ეს სრულიად ეხმიანება კორეის საგარეო პოლიტიკურ მაქსიმას, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ინტეგრაციას ერთობლივი ეკონომიკური პროექტების გზით გულისხმობს.

თავი IV. რელიზმი კორეის საგარეო ურთიერთობებში ჩრდილოეთის მიმართულებით

წიგნში „ადამიანი, სახელწმიფო და ომი“ კენეტ უოლცი გამოყოფს ანალიზის სამ დონეს: პირველი, ინდივიდუალური ქმედებები; მეორე, ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტიელბა და მესამე, სისტემური ფაქტორები. მესამე, მისი სიტყვებით „ანარქიული სტრუქტურის“ პირობებში არ არებობს რომელიმე გარეგანი ძალა, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოების იძულება, რის გამოც საერთაშორისო პოლიტიკა, უოლცის მოსაზრებით, არის თვითგადარჩენისკენ სწრაფვა. რეალიზმის

ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი არის უსაფრთხოების დილემა, რომლის გადაჭრის ერთადერთი გზა არის ძალთა ბალანსი. (Waltz, 1959)

კორეის რესპუბლიკის ისტორიას, მისი საგარეო პოლიტიკის საწყისებს და მათ ევოლუციას ცალსახად ყველაზე უკეთ საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის თეორია ხსნის.

რეალიზმი, რომელიც ეფუძნება ძალთა ბალანსისა და ეროვნული ინტერესების იდეას, ყველაზე უკეთ ხსნის როგორც კორეის ქმედებებს ქვეყნის გახსნის შემდეგ - დღემდე, ასევე მის ქმედებებს XX და XXI საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თითოეულ თეორიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნებსშორისი ურთიერთობების აღწერაში, კორეის რესპუბლიკის მაგალითი არის რეალიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ილუსტრაცია. რეალისტური მიდგომები ყველაზე უკეთ ხსნიან როგორც ნახევარკუნძულის გახლეჩას ცივი ომის დროს, ასევე საკუთრივ სამხრეთ კორეისა და ჩრდილოეთ კორეის მცდელობებს შეინარჩუნონ საკუთარი სუვერენიტეტი.

ქვეყნის იძულებითი გახსნის შემდეგ, კორეის რესპუბლიკა ცდილობდა ნახევარკუნძულზე ძალთა ბალანსის მიღწევას იაპონიის, ჩინეთის, რუსეთის იმპერიისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაბალანსეის გზით.

იაპონური ოკუპაციის შემდეგ კორეის საგარეო პოლიტიკა სრულიად ეფუძნებოდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შთათების დაპირისპირებაში ძლიერ მოკავშირესთან კავშირის დამყარებას საკუთარი ინტერესებისა და ამოცანების მიღწევის მიზნით. როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კორეა ერთმაენთისგან პერმანენტულ საფრთხეს ხედავენ და ცდილობენ შეინარჩუნონ ძლიერი სამხედრო ძალები - სამხრეთ კორეის შემთხვევაში ძალის პრიმატი ვლინდება ამერიკის შეერთებულ შტატებთან „ორმხრივი თავდაცვის ხელშეკრულებაში“, ხოლო ჩრდილოეთ კორეამ შექმნა ბირთვული იარაღი. ორივე სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ძლიერება და მისი კომპონენტები. როგორც აღნიშნავს

ალექსანდრე რონდელი, „ძლიერება არის ძალა, მისი ეფექტურად და მოქნილად გამოყენების, ახალ ვითარებასთან სწრაფი შეგუების უნარი“. როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კორეამ გამოავლინა საკუთარი დიპლომატიის შეგუებითობის უაღრესად მაღალი უნარი.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს შორის რეალიზმის პრიმატი არის ეროვნული ინტერესები. (რონდელი, 1996) სამხრეთ კორეის ურთიერთობა ჩრდილოეთ კორეასთან, ან ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან, ცალსახად აიხსნება რეალისტური კონცეფციებით: იქნება ეს ჩრდილოეთი კორეის ინტეგრაციის მცდელობა მისი მხრიდან პირდაპირი საფრთხის შემცირების მიზნით, თუ ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კორეის რესპუბლიკის ურთიერთობებს იაპონიასთან მიმართებაში ხშირად აკრიტიკებენ თავდაპირველად გენერალ პაკის მიერ გამოჩენილი არარაციონალურობისთვის, როდესაც მან უარყო იაპონიასთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა. რიგი ავტორები მიუთითებენ, რომ მისი ქმედება არ იყო რაციონალური და ეწინააღმდეგებოდა კორეის ინტერესებს, რადგანაც ეკონომიკური განვითარება შეაფერხა და მიუთითებენ ამ გადაწყვეტილების კონსტრუქტივისტულ ახსნაზე. მიუხედავად იმისა, რომ კორეის საგარეო პოლიტიკაში იაპონიის ფაქტორი და ისტორიული წყენა (longue durée) გარკვეულ მნიშვნელობას ატარებს, აღნიშნული მოვლენის ახსნა რეალიზმის პოსტულატებიდან გამომდინარე ასევე არის შესაძლებელი: კორეას არ სურდა, ეკონომიკური უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ დაეყენებინა და იაპონიაზე დამოკიდებული გამხდარიყო.

სწორედ რეალიზმის თეორიული ჩარჩო ყველაზე უკეთ ხსნის კორეის საგარეო პოლიტიკას, რაც კიდევ უფრო ცალსახად ჩანს პრეზიდენტ მუნ ჯე ინის ჩრდილოეთის ახალ პოლიტიკაში. პოლიტიკის დოკუმენტი პირდაპირ ხაზს უსვამს კორეის რესპუბლიკის ეკონომიკურ ინტერესებსა და ამ ინტერესების პრიმატს ქვეყნის უსაფრთხოებისა და თვითგადარჩენის კუთხით. (Policy, 2018)

დასკვნა

1990-იანი წლების შემდეგ კორეის რესპუბლიკის პოლიტიკა ჩრდილოეთის მიმართულებით განსაკუთრებით გააქტიურდა. ეს იყო გამოწვეული როგორც ტრივიალური ფაქტორით - საბჭოთა კავშირის დაშლით, რომელმაც შესაძებელი გახადა მანამდე დახურულ რეგიონებთან კომუნიკაცია და ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთერთობეიბ, ასევე თავად კორეის რესპუბლიკის ეროვნული ინტერესებით. კორეის ეკონომიკა, რომელიც იზრდებოდა კორეის ომის შემდეგ და რომლის ეკონომიკურ ზრდასაც ხშირად უწოდებენ „საოცრებას მდინარე ხანზე“, განაპირობა მისი საგარეო პოლიტიკის გაატიურება ახალ ბაზრებზე დამკვიდრებისა და კორეის მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, კორეის რესპუბლიკა ხაზს უსვამს საკუთარ ეგზისტენციალურ ამოცანას - ჩრდილოეთ კორეის საფრთხის შემცირებას, რისკენაც იგი მიიღწვის ყველა ბერკეტის, მათ შორის - ეკონომიკურის, გამოყენების გზით.

ნაშრომში განხილულია კორეის ეკონომიკური ჩართულობის კონკრეტული ქეისეი, რომლებიც მიმართულია ერთის მხრივ, კორეის რესპუბლიკის ეკონომიკური სიძლიერის შენარჩუნებისკენ, კორეის საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებული გააქტიურება 1990-იანი წლების შემდეგ, აიხსნება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ახლადშექმნილ სახელმწიფოებთან ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების შესაძებლობის წარმოქმნით.

ბიბლიოგრაფია

ჭუნი, ი. ს. (2018). *ჩრდილოეთის ახალი პოლიტიკა და რუსეთ-კორეის ურთიერთობეიბი ცენტრალურ აზიაში.* სეული: კორეა-რუსეთის დიალოგი.

სიკი, ს. ბ. (2018). *Историческая ретроспекция "Северной политики" РК и корейско-российские отношения.* სეული: Korea-Russia Dialogue.

ჰესი, ნ. (2019, ივლისი 10). *ნენსკრა ჰესი.* Retrieved from http://nenskra.ge

რონდელი, ა. (1996). *საერთაშორისო ურთიერთობები.* თბილისი: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი.

სამინისტრო, ს. ს. (2019, ივლისი 10). *საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.* Retrieved from საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო: http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.aspx

მეფარიშვილი, მ. (15, 10 13). *ნეტგაზეთი.* Retrieved from ნეტგაზეთი: https://netgazeti.ge/news/72313/

Armstrong, C. K. (2019, July 1). *Center for Global Education*. Retrieved from Korean History and Political Geography: https://asiasociety.org/education/korean-history-and-political-geography

BAJPAI, P. (2019, Apr 14). *North Korean vs. South Korean Economies: What's the Difference?* Retrieved from Investopedia: https://www.investopedia.com/articles/forex/040515/north-korean-vs-south-korean-economies.asp

Cho, J.-H., & Bairner, A. (2012). *The sociocultural legacy of the 1988 Seoul Olympic Games.* Leisure Studies.

Daily, P. (2004, September 24). *South Korean president's visit to boost ties with Russia*. Retrieved from Peoples Daily: http://en.people.cn/200409/24/eng20040924_158215.html

Dudden, A. (2005). *Japan's Colonization of Korea: DISCOURSE AND POWER.* HONOLULU: UNIVERSITY OF HAWAI`I PRESS.

Forum, E. A. (2018, February 6). *Here Is Why South Korea May Be Turning to Russia*. Retrieved from National Interest: https://nationalinterest.org/blog/the-buzz/here-why-south-korea-may-be-turning-russia-24370

Kimura, K. (2019, February 2). *The Diplomat*. Retrieved from A Profound Development in Japan-South Korea Relations : https://thediplomat.com/2019/02/a-profound-development-in-japan-south-korea-relations/

Kyodo News. (2016). *Sea of Japan name dispute rolls on*. Retrieved from Kyodo News: https://www.japantimes.co.jp/news/2012/05/03/national/sea-of-japan-name-dispute-rolls-on/#.XSRnepMzY1g

Lee, J.-W. (2007, February 19). *Economic Growth and human Production in the Republic of Korea, 1945–1992*. Retrieved from United Nations Development Programme: http://smesindia.net/wp-content/uploads/2013/09/Korea.pdf

Lee, K. B. (1997). *Korea and East Asia: the story of a Phoenix.* Greenwood: Greenwood Publishing Group.

Policy, C. f. (2018). Vision and Future plans of Norhern Economic Cooperation. სეული: Commitee for Coordination of the Northern Policy, ROK.

Seth, M. J. (2011). *A concise history of Korea: from antiquity to the present.* New York: ROWMAN & LITTLEFIELD PUBLISHERS, INC.

Snyder, S. A. (2018, January). *Domestic Constraints on South Korean Foreign Policy*. Retrieved from The Council on Foreign Relations (CFR): https://www.cfr.org/report/domestic-constraints-south-korean-foreign-policy

Snyder, S. A. (2018, May 7). *South Korea at the Crossroads*. Retrieved from The Council on Foreign Relations (CFR): https://www.cfr.org/teaching-notes/south-korea-crossroads

Stueck, W. W. (1995). *The Korean War: An International History.* Princeton, NJ: Princeton University Press.

Waltz, K. N. (1959). *Man, the State, and War.* Columbia University Press,: New York.

„ჩრდილეოთის ახალი პოლიტიკა და კორეა-ცენტრალური-აზიის თანამშრომლობა“ (북방경제협력위원회 – Report 2018, ბუგბანგგიონგჯეჰიობრიოგვივონჰე - რეფორთ 2018), 2018 წელი (კორეულ ენაზე)

ჰანკუკის უნივერსიტეტის გამოცემა „რუსეთი 2018: ანგარიში“ (러시아 Report 2018 – როშია რეფორთ 2018) (კორეულ ენაზე)

Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

George Melashvili

The evolution of the Northern foreign policy of the Republic of Korea from 1990s to present.

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International Politics

Supervisor – Zurab Davitashvili,
Full Professor

Tbilisi

2019